ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

3ფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ჰპაკდფკნბ
* კფჰბ
@@სტ,ტჰდკბლფყ




js[if,fsb7 @@ st,thdfkb7 @)!@ 144 (5734) afcb5 #) stshb

# ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება დამარცხებულად გამოაცხადა

გვ.3

ბიძინა ივანიშვილი თანაგუნდელებს გადაეფარა

გვ.3



## დავით დარჩიაშვილი: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რევანშს მივიღებთ“



გვ. 4

რისი ეშინიათ ნაციონალებს

## ლევან ვეფხვაძე: მე ვარ მოქკავშირის მამა და დამფუძნებელი?!“

გვ. 6



## კარლო კოვალიანი: ცაგერში ჩასულმა სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობა დაასამარა“

გვ.4





გვ.5

## გია ხუხაშვილი: ივანიშვილი სააკაშვილის ჩანაცვლებას არ აპირებს“



გვ. 7

## რატომ აქვთ რესპუბლიკელებს ამხელა გავლენა



## ნიკა რურუა: თურქეთთან ხელშეკრულებაზე ხელი ჯერ არ მოგვიწერია“

გვ.2



## უმუშევრებისთვის შემწეობის დანიშვნაზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ

გვ. 4



## სააკაშვილმა საჯაროდ უნდა აღიაროს, რომ პრემიერობას არ აპირებს!

გვ.2

ISSN 1987-9385

6 პროფკავშირების გაერთიანება საპენსიო კანონში შესატან ცვლილებებს აკრიტიკებს

5 თბილისის მერიასთან კიკვიძის ბაღის გაჩეხის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

4 ოსური ოპოზიციის ლიდერი ფეესბემ კიდევ ერთხელ დააკავა

5 დემოკრატიული მოძრაობა“ საარჩევნო სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას უნდობლობას უცხადებს

# ნიკა რურუა: თურქეთთან ხელშეკრულებაზე ხელი ჯერ არ მოგვიწერია“

ნათია ხურცილავა

**ჯანდაცვის სამინისტრომ შპს „ახალი სამშობიაროს“ საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც რამდენიმე დღის წინ 26 წლის მშობიარე ქალბატონი გარდაიცვალა. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ განმარტა, მოკვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში უხეშად არის დარღვეული კანონით დადგენილი პირობები, რაც რისკს უქმნის იქ მყოფი პაციენტების სიცოცხლეს. მისივე თქმით, კლინიკის საქმიანობა მანამდე იქნება შეჩერებული, ვიდრე იქ შესაბამისი პირობები არ შეიქმნება.**

— ძალიან სამწუხარო და ტრაგიკული ფაქტი მოხდა. ახალგაზრდა ქალბატონი გარდაიცვალა. ამ კლინიკაში სამედიცინო მომსახურების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. შესაბამისად, განვიხილავთ ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხს. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ მოკვლევამ აჩვენა — დაწესებულებაში უხეშად არის დარღვეული კანონის დადგენილი სტანდარტები, რაც, ბუნებრივია, რისკს უქმნის იქ მყოფი პაციენტების, ახალშობილების სიცოცხლეს. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ დაწესებულების საქმიანობას ლიცენზია უნდა შეუჩერდეს, სანამ შესაბამისობაში არ იქნება მოყვანილი ყველა ის პირობა, რომლებიც უსაფრთხოს გახდის დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას, — განაცხადა ანდრია ურუშაძემ.

ურუშაძის განცხადებით, პაციენტები, რომლებიც აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობენ, გადაყვანილი იქნებიან სხვადასხვა სამშობიარო სახლში, რომლებიც შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს. მათი სხვადასხვა დაწესებულებაში მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს. ანდრია ურუშაძემ რამდენიმე დღის წინ 26 წლის ნინო მარტოიანის გარდაცვალების ფაქტს ტრაგიკული უწოდა და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე განიხილება და სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

— ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას. ბავშვი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მთავრობის სხდომაზე ახალგაზრდა მშობიარის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმაურა და გარდაცვლილის ოჯახს მიუსამძიმრა.

— დავალება მივეცი შესაბამის უწყებებს, რომ ინციდენტი შეესწავლათ, თუ რამ გამოიწვია ქალბატონის გარდაცვალება. გარდა ამისა, აკმაყოფილებდა თუ არა კლინიკაში არსებული პირობები, ეს საავადმყოფო სალიცენზიო პირობებს. ამ საავადმყოფოს პრივატიზაცია გასულ წელს მოხდა, შემდეგ კოლექტივმა შეიძინა. სამწუხაროდ, შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს დაწესებულება სალიცენზიო პირობებს ვერ აკმაყოფილებს. ვწუხვარ, რომ ეს ინციდენტი მოხდა. მინდა, მივუსამძიმრო გარდაცვლილის ოჯახს, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კლინიკას ლიცენზია შეუჩერდება მანამ, სანამ არ შეძლებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობასა და სამედიცინო აღჭურვილობის შეტანას. მას შემდეგ, რაც კლინიკა სალიცენზიო სტანდარტს დააკმაყოფილებს, პრემიერის განცხადებით, შემდეგ მას ლიცენზია უკვე აღუდგება.



ჯანდაცვის მინისტრი დისკომფორტისთვის ბოდიშს უხდის იმ პაციენტებს, რომლებიც აღნიშნულ ცენტრში მკურნალობდნენ.

აღნიშნულ კლინიკაში 26 წლის ნინო მარტოიანი 18 თებერვალს გარდაიცვალა, მისმა მკურნალმა ექიმმა კი თვითმკვლელობა სცადა.

როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, საავადმყოფოში მშობიარე ნორმალურ მდგომარეობაში მიიყვანეს და ბუნებრივი გზით უნდა ემშობიარა. სამშობიარო ბლოკში გადაყვანის შემდეგ კი მარტოიანის მდგომარეობა დამძიმდა, პაციენტს დაეწყო ძლიერი სისხლდენა, რის შედეგადაც გარდაიცვალა. ამასთან, მარტოიანის ოჯახი ახალშობილის სახლში წაყვანისგან თავს იკავებს. მათი თქმით, საავადმყოფოში თავდაპირველად უთხრეს, რომ ბიჭი დაიბადა, შემდეგ კი გოგონა აჩვენეს. ოჯახი დნმ-ის ანალიზის ჩატარებას ითხოვს.

მთავრობის სხდომაზე ასევე განხილული იყო საქართველოში შემოსული ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები.

გასულ წელს საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი შეადგინა.

ნიკა გილაურმა ასევე ისაუბრა იანვრის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, იანვრის ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებელი 5 პროცენტია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

— საკმაოდ პოზიტიური მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომელიც მსოფლიოსა და ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

მისივე თქმით, გასულ კვირას გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორთან და აშკარაა კერძო სექტორის აქტივობა, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ზრდაში.

— ის წინადადებები, რომლებიც კერძო სექტორმა წარმოადგინა, საკმაოდ პოზიტიურია და ჩვენ ერთად გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ უახლოეს თვეებში წარვადგინოთ დამატებითი ცვლილებები საგადასახადო კოდექსსა და სხვა კანონმდებლობაში, რათა კიდევ უფრო გავუმარტივოთ ბიზნესსა და კერძო სექტორს საქართველოში ინვესტიციების განხორციელება და სამუშაო ადგილების შექმნა, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა თურქეთში არსებული ქართული ძეგლების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთა.

ნიკა რურუას განცხადებით, ტაო-კლარჯეთის ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით ქართული მხარის პოზიცია არ შეცვლილა.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძის გუშინდელ განცხადებას, რომ კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით თურქულ და ქართულ მხარეებს შორის ისტორიული ძეგლების აღდგენის თაობაზე შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის, რადგან ქართულ მხარეს გააჩნია პოზიცია, რომელსაც თურქული მხარე არ იზიარებს, ნიკა რურუამ განაცხადა:

— მინისტრის მოადგილეს სათქმელი განსხვავებულად გამოუვიდა. სინამდვილეში ის მართალია იმაში, რომ თურქულ მხარესთან ძეგლების რესტავრაციის თაობაზე შეთანხმების საბოლოო ტექსტი საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა და ხელმოწერილი არ არის, მაგრამ აუცილებლად იქნება, რადგან სხვანაირად იშხანსა და დანარჩენ ძეგლებს დავკარგავთ. ამის უფლება არ გვაქვს. სახელმწიფოს ფუნქცია მათი დაცვაა, — განაცხადა ნიკა რურუამ.

# სააკაშვილმა საჯაროდ უნდა აღიაროს, რომ პრემიერობას არ აპირებს!

ნათია ხურცილავა



დავით გამყრელიძე, ახალი მემარჯვენეების ლიდერი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადოს, რომ ის არ აპირებს პრემიერ-მინისტრის სკამისთვის ბრძოლას და მზად არის თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.

**გამყრელიძის განცხადებით, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშლისთვის არის განწირული. ასეთი პროგნოზის საშუალებას მას, როგორც ჩვენთან საუბარში აცხადებს, ალიანსისა და უახლესი პოლიტიკური წარსულის გამოცდილება აძლევს.**

**ინტერვიუ დავით გამყრელიძესთან:**

***— ბატონო დავით, თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნება“ იმავე ბედს გაიზიარებს, რომელიც თავის დროზე ალიანსს ხვდა წილად. რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

— ახალი მემარჯვენეები, ჩვენი გამოცდილებიდან, ქართული პოლიტიკის უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, ძალიან სკეპტიკურად ვუყურებთ ნებისმიერი ფორმის ალიანსებს, კოალიციებს, ბლოკებსა და გაერთიანებებს. განსაკუთრებით ისეთ ეკლექტურს, როგორიც თავის დროზე „გაერთიანებული ოპოზიცია“ იყო და როგორიც არის დღეს „ქართული ოცნება“. სულ სხვადასხვა წარსულის, შეხედულებების, მსოფლმხედველობის, იდეოლოგიური მრწამსის მქონე ადამიანები, ლიდერები და პარტიები ერთიანდებიან ერთ კოალიციაში. ასეთი კოალიციები, როგორც ისტორიამ აჩვენა, დაშლისთვის არის განწირული. ადრე თუ გვიან ასეთი კოალიციები აუცილებლად იშლება.

***— განმასხვავებელ ნიშნებზე საუბრობდით. რა საერთო აქვთ ამ ლიდერებს?***

— ამ ადამიანებისთვის საერთო, რა თქმა უნდა, ფინანსური ინტერესია, რომელიც აბსოლუტურად ბუნებრივია. პოლიტიკაში როდესაც ხარ, ფინანსები, როგორც ინსტრუმენტი, საშუალება, ნამდვილად საჭიროა, მაგრამ ის არ უნდა იყოს ერთობის მთავარი მიზანი, არამედ ის უნდა იყოს იმ მიზნის განხორციელების საშუალება, რომელიც უნდა აერთიანებდეს. ეს მიზანი მკაფიოდ პოლიტიკური უნდა იყოს, მწყობრ, ერთიან მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული და არა მხოლოდ დეკლარირებული და გაცხადებული.

***— დღეს მათი პოლიტიკური მიზანი მწყობრად არ არის ჩამოყალიბებული?***

— ასეთი დეკლარაციები ადრეც ბევრი გვინახავს. იგივე საგურამოს დეკლარაცია, რომელიც ყველას კარგად გვახსოვს. შემდეგ ეს დეკლარაცია ყველას დაავიწყდა, როდესაც იშლებოდა ეს ერთობა, რასაც მოჰყვა ურთიერთკრიტიკა, ერთმანეთის მიმართ ბრალდებები. პოლიტიკური აქტივობისთვის ყველაზე მყარი პოლიტიკური ერთეული პარტიაა. ეს გამოცდილებამ გვაჩვენა. კოალიციები და ერთობები უფრო ლოგიკური არჩევნების შემდეგ არის პარლამენტში კონკრეტული მიზნის, ამ შემთხვევაში უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად და არა ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი მიზნებისთვის, როგორიც არის ქვეყნის გადარჩენა, კრიზისიდან გამოყვანა, აღორძინება და ა.შ. ასეთი ფრაზები ბოლო 20 წლის განმავლობაში ხშირად ისმის და შემდეგ ყველას ავიწყდება.

მე წარმატებას ვუსურვებ, სულაც არ მინდა, რომ მალე დაიშალონ. პირიქით, მათი დიდხანს თანაცხოვრება მინდა.

***— თუმცა, ივარაუდეთ, რომ შეიძლება მალე დაიშალონ...***

— დიახ, გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველაზე გვიან არჩევნების შემდეგ, რამდენიმე თვეში ასეთი ერთობები რღვევას იწყებს ხოლმე, მით უმეტეს, თუ ისეთი შედეგი არ დაიდო, როგორი მოლოდინიც არსებობს — უმრავლესობის აღება.

***— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რა მოლოდინები გაქვთ, როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტიკური მოზაიკა?***

— ზუსტი პროგნოზის გაკეთება რთული იქნება. ვმუშაობთ იმაზე, რომ ჩვენ, ახალი მემარჯვენეები, სოლიდურად და ღირსეულად ვიყოთ წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში. რა თქმა უნდა, არ გვაქვს ილუზია, რომ 50, 40 ან 30 პროცენტით მოვალთ. ჩემი აზრით, მომავალ პარლამენტში მრავალფეროვნება, მრავალპარტიულობა აუცილებლად იქნება. სწორედ ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მომავალი პოლიტიკური ცხოვრება, მომავალი პარლამენტი ბევრად უფრო დაბალანსებული, საინტერესო და სამართლიანი იქნება ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა სააკაშვილის, პრაქტიკულად, ერთპარტიული მმართველობის წლებში.

***— ბატონო დავით, ივანიშვილის პარტიასთან რა ტიპის თანამშრომლობა წარმოგიდგენიათ? თუმცა, მისი განცხადებით, ისინი პარლამენტში უმრავლესობით აპირებენ მოსვლას...***

— უმრავლესობით პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში ჩემთან თანამშრომლობაზე საუბარი ზედმეტია, მე მათ არაფერში დავჭირდები. თანამშრომლობა უნდა განვიხილოთ ყველასთან, რისთვისაც მზად ვართ, ვისთანაც გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თანამოაზრეები ვიქნებით. ცალკეულ საკითხებზე, ცალკეულ თემებზე, ცალკეული პრობლემის დასაძლევად ჩვენ ადრეც გვითანამშრომლია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან, მით უმეტეს, კოალიციაში შემავალ პარტიებთან მეგობრული წარსული და პარტნიორობა მაკავშირებს. ასე რომ, თანამშრომლობის პრობლემას ვერავისთან ვერ ვხედავ, ვერც ერთ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც მომავალ პარლამენტში იქნება. პირადი სიმპათია-ანტიპათიით კი არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, არამედ — ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს არ არის პათეტიკა. პოლიტიკოსის პროფესია ასეთია — ის ვალდებულია, საკუთარ სურვილებსა და განწყობებზე მაღლა ქვეყნის, ხალხის ინტერესები დააყენოს.

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკ
ვსფდდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება დამარცხებულად გამოაცხადა

## ბიძინა ივანიშვილი თანაგუნდელებს გადაეფარა

შალვა ჯოხაძე

პრეზენტაციები ბიძინა ივანიშვილის წამყვანობით ერთგვარ ტრადიციად იქცა – წინა კვირას პარტიის საინიციატივო ჯგუფი წარმოადგინა, გუშინ – პოლიტიკური კოალიციის წევრები. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების გეგმის თანახმად, ამ დღეებში რეგიონებში 4 ათეულზე მეტი ოფისი თითქმის ერთდროულად გაიხსნება. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პრეზენტაციას, ის ნამდვილად 5 აპრილის შემდეგ გაიმართება. როგორც „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განგვიცხადა, 5 აპრილს არის ბოლო ვადა, როცა უნდა გამოცხადდეს, მიიღებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას. სწორედ ამ თარიღის გასვლის შემდეგ გაირკვევა, ვინ იქნება პარტიის ოფიციალური ლიდერი – ივანიშვილი თუ მისი მეუღლე.

პარტიის პრეზენტაციამდე კი გუშინ ივანიშვილი მომავალი პარტიის ლიდერის ამპლუაში წარდგა საზოგადოების წინაშე და პოლიტიკური კოალიციის ლიდერადაც თავად მოგვევლინა.

ახალ კოალიციაში ოთხი პოლიტიკური სუბიექტი გაერთიანდა: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „ეროვნული ფორუმი“. კოალიციაში ასევე შედიან ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი. კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა 12-პუნქტიანი დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომელშიც კოალიციის ძირითადი ღირებულებები და მიზნებია ასახული.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრები დაასახელა. პოლიტსაბჭოში ზვიად ძიძიგური, დავით ბერძენიშვილი, ალექსი პეტრიაშვილი და ნოდარ ხადური შედიან. პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრი ნოდარ ხადური კი პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი იქნება.

– საბჭო ყალიბდება, ჩვენ კიდევ გვაქვს ვაკანსია. მარტის ბოლომდე მთლიან სტრუქტურას ჩამოვაყალიბებთ და როდესაც დადგება აპრილი და ყველაზე დიდი სკეპტიკოსებიც კი დაიჯერებენ, რომ სააკაშვილმა ვერ მოახერხა გაზაფხულის მოსვლის შეჩერება, დავიწყებთ გააქტიურებას, მივალთ საქართველოს თითოეულ მოქალაქესთან. ოქტომბრამდე ჩვენ მთელ ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ და გპირდებით, რომ გავიმარჯვებთ ოქტომბრის არჩევნებში. ჩვენ მივაღწევთ, რომ საქართველოს მოსახლეობამ აისრულოს ქართული ოცნება, – ასეთი ტექსტით დაასრულა პრეზენტაცია ბიძინა ივანიშვილმა. თუმცა, პრეზენტაციის მსვლელობისას საკმაოდ ბევრი ინფორმაცია გაცხადდა იმის თაობაზე, თუ რას აპირებს ივანიშვილის კოალიცია.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ივანიშვილი საკუთარი არჩევანით, საკუთარი გუნდით კმაყოფილია.

– ოპონენტები ტყუილად დაშვრებიან, რომ ჩვენში რამე განხეთქილება შეიტანონ.

ჩვენ უკვე ერთი გუნდი გვაქვს, – აღნიშნა ივანიშვილმა და ყველას ურჩია, მისი პოლიტიკური პარტნიორების ნაწილის ქებასა და ნაწილზე თავდასხმას შეეშვან.

ბიძინა ივანიშვილი:

– ჩვენი ქვეყნისათვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი გზაგასაყარია – ამ არჩევნების შემდეგ საქართველოში რეალურად უნდა დაიწყოს მრავალპარტიული დემოკრატიის დამკვიდრება. ეს არის არჩევანი თავისუფლებასა და დიქტატს, სამართლიანობასა და უსამართლობას, ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და საერთაშორისო იზოლაციას შორის. საქართველოს გადარჩენისა და თანამედროვე სახელმწიფოდ დამკვიდრებისთვის აუცილებელია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის გამარჯვება პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებულ მმართველ რეჟიმზე, რომელიც დღეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის.

სწორედ ამ გამარჯვების უზრუნველსაყოფად შეიქმნა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“. კოალიცია აერთიანებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც გაერთიანებული არიან თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე და საზოგადოების უმრავლესობის მიზნებს გა-



მოხატავენ.

ბიძინა ივანიშვილი იმ ძირითადი მიმართულებების შესახებაც საუბრობს, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ განახორციელებს. კოალიციის ლიდერის თქმით, „ქართული ოცნება“ დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში, რისთვისაც განავითარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს, დაძლევს სამოქალაქო დაპირისპირების მემკვიდრეობას და განამტკიცებს ეროვნულ თანხმობას;

დაამკვიდრებს სახელმწიფო ორგანოთა დაბალანსებულ და გაწონასწორებულ მოდელს, რეალურ თვითმმართველობასა და მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას, რისთვისაც ხალხის აქტიური მონაწილეობით განახორციელებს კონსტიტუციურ რეფორმას;

უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებასა და რეგიონული პოზიციების გამყარებას, რისთვისაც გააღრმავებს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციას და მონაწილეობას მიიღებს რეგიონული მასშტაბის ეკონომიკურ და სამშვიდობო პროცესებში;

დაიწყებს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის გამთლიანების პროცესს, რისთვისაც მოძებნის დიალოგის გზებს აფხაზებთან და ოსებთან, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიაღწევს კონკრეტულ შედეგებს რუსეთთან მოლაპარაკებებში;

დაამკვიდრებს საარჩევნო დემოკრატიას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და არჩევნების გზით შეცვლის ტრადიციას, რისთვისაც გააძლიერებს ოპოზიციის როლს ქვეყნის მართვაში, დაიცავს მედიის თავისუფლებას და წაახალისებს სამოქალაქო ინიციატივებს;

უზრუნველყოფს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობას, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობას და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობას, რისთვისაც დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, გაათავისუფლებს სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური ზეწოლისგან;

არ დაუშვებს ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შერწყმას სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რისთვისაც გაათავისუფლებს საჯარო სამსახურებს მმართველი ძალის წნეხისგან და გამიჯნავს მათ პარტიული ინტერესისგან;

დაძლევს უმუშევრობასა და სიღარიბეს, შეუქმნის უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს სიმდიდრისა და კეთილდღეობის პირობებს, რისთვისაც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებასა და შრომით უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას;

დანერგავს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებს, რისთვისაც განახორციელებს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე ორიენტირებულ, გააზრებულ რეფორმებს;

შეუქმნის შრომისუუნარო მოქალაქეებს ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოსა და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას;

ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეთა მრავალფეროვანი ერთობის – საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, რისთვისაც დაიცავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათ ინტეგრირებას;

იზრუნებს ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას, რითაც დაძლევს, ერთი მხრივ, ბრმა მიმბაძველობის, ხოლო, მეორე მხრივ, ფსევდოპატრიოტული კარჩაკეტილობის ტენდენციებს... ასეთია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლითაც ივანიშვილის კოალიცია არჩევნებში გამარჯვებას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ კოალიციის საარჩევნო დაპირებები ირაკლი ალასანიამაც განავრცო.

– ისეთი პოლიტიკური ძალა ყალიბდება, რომელსაც კარგად ესმის, დღეს ჩვენი ქვეყნისათვის რა არის ყველაზე დიდი პრობლემა და ზუსტად იცის, თუ როგორ გადაჭრას ეს პრობლემები, – აღნიშნა ალასანიამ.

ალასანიას თქმით, მილიონობით ქართველი სამუშაოდ საქართველოდან არის წასული, შარშან მილიარდზე მეტი თანხა გადმოირიცხა უცხოეთიდან. კოალიციის მიზანია, ამ ადამიანებს რეალურად შეუქმნას სამუშაო ადგილები, რათა ხალხმა არ დატოვოს საქართველო. ძირითადი აქცენტი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მცირე თუ საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობაზე გაკეთდება.

– რაც მთავარია, დავანგრევთ იმ მონოპოლიებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ქართულ ეკონომიკაში და რომელსაც მართავს სააკაშვილი საკუთარი უახლოესი გარემოცვის მეშვეობით, – განაცხადა ალასანიამ.

ალასანიას თქმით, კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი თავად წარმოადგენს ქართული ოცნების მაგალითს, რომელიც ძალიან ადრეულ ასაკში წავიდა საქართველოდან და ერთადერთი, რაც გააჩნდა, მისი შრომისმოყვარეობა და ნიჭი იყო.

– დღეს ის მსოფლიოს წარმატებულ ბიზნესმენთა მოწინავე რიგებშია. ასეთი ოცნება ნებისმიერ ქართველს შეუძლია აისრულოს. მე მგონია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა, ამის საშუალება მივცეთ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, – აღნიშნა ალასანიამ.

დავით უსუფაშვილმა კოალიციის პრეზენტაციაზე პარალელი გაავლო 1921 წლის 21 თებერვალთან, როცა დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო.

– ეს იყო პირველი გაცხადებული ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოზე.

ეს ოცნება გაცხადდა იმ პირობებში, როცა საქართველო, პრაქტიკულად, ოკუპირებული იყო რუსეთის არმიის მიერ. ბრძოლა კოჯორში მიმდინარეობდა, მაგრამ მაშინ ჩვენს წინაპრებს არ უთქვამთ, რა დროს კონსტიტუცია და დემოკრატიააო. სწორედ მათმა ასეთმა ქმედებამ, ხალხის ნების გამომხატველმა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით არჩეულმა, მრავალპარტიულმა ორგანომ შეძლო ერთიანი ქართული ოცნების გაცხადება. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და საზოგადოებას ხშირად ჰქონდა განცდა, რომ საქართველო ამ ოცნებას სულ უფრო შორდებოდა. მაგრამ, იყო მომენტებიც, როდესაც ყველას გვქონდა განცდა, რომ ქართული ოცნება დემოკრატიული, ცივილიზებული, ევროპული სახელმწიფოს შექმნის შესახებ რეალიზდებოდა. ასე იყო 90-იანი წლების დასაწყისში, ასე იყო 2003 წელსაც, როდესაც ბევრს მიგვაჩნდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ ოცნების რეალიზება იწყებოდა, მაგრამ 2012 წლის 21 თებერვალს, პრაქტიკულად, ისევ იქ ვართ, სადაც – ჩვენი წინაპრები, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

კოალიციის სხვა ლიდერების მსგავსად, უსუფაშვილიც გამარჯვებაზე ამყარებს იმედებს და გვპირდება, რომ ის და მისი პარტნიორები ყველა იმ ვალდებულებას შეასრულებენ, რომელმაც ისინი გააერთიანა.

– ეს არ არის ლოზუნგები. ეს არის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში საარჩევნო დემოკრატია, როდესაც უზენაესი განმსჯელია ხალხი და არა – პოლიტიკოსები. ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ტრადიცია, რომ ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ დარჩეს ხელისუფლებაში, ვინ წავიდეს, ვინ რა დოზით და ხარისხით იყოს წარმოდგენილი ცენტრალურ თუ თვითმმართველობის ორგანოებში.

ჩვენ დავამკვიდრებთ თვითმმართველობას, გავათავისუფლებთ სასამართლოს პოლიტიკური წნეხისა და დიქტატისგან. მისივე თქმით, ქვეყანაში არსებული პრობლემები შემთხვევითი არ არის, რადგან ხელისუფლებამ შეგნებულად გადაწყვიტა, რომ პარლამენტსა და სასამართლოს არავინ არაფერს ეკითხება. მოქალაქე რომ არ არის ძლიერი და არა აქვს თავისი პოლიტიკური უფლებების გამოხატვის საშუალება, ეს ხედვაა, რომელსაც ჩვენ სრულად ვემიჯნებით. მივიჩნევთ, რომ ძლიერი ქვეყანა, ძლიერი სახელმწიფო ძლიერ მოქალაქეებზე დაფუძნებული საზოგადოებაა, – განაცხადა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილის თქმით, დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა იყოს მოქალაქის ძლიერების გარანტი და არა – ხელისუფლებაში მყოფთა კეთილდღეობისა. ამიტომ დემოკრატია წინსვლის ერთადერთი გზა და საშუალებაა. სწორედ ასეთ შემთხვევაში იხსნება გზა ნატო-სა და ევროკავშირისკენ, კონფლიქტების მოგვარებისკენ. უსუფაშვილის თქმით, კოალიციის პარტნიორები ყველა დანაპირებს შეასრულებენ, თუმცა, დღეს ერთი პრობლემის წინაშე დგანან.

– ჩვენ გვაქვს ერთი დიდი პრობლემა – ვუპირისპირდებით უკვე დამარცხებულ ხელისუფლებას. ერთმა ქართველმა დედამ, ირინა ენუქიძემ, დაამარცხა ეს ხელისუფლება.

ყველაზე სახიფათო სწორედ დამარცხებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობაა, იმიტომ რომ მათ დასაკარგავი, როგორც ჩანს, აღარაფერი დარჩათ, საკუთარი თავის გარდა. მათ დაკარგეს ავტორიტეტი, ნდობა, მორალური უფლება, იყვნენ ქვეყნის მმართველები. დამარცხებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობა სერიოზულად და დიდი სიბრძნით გასააზრებელი ქმედებაა. ამიტომ ჩვენ უნდა გვეყოს ერთდროულად პრინციპულობაც, შემართებაც, სიბრძნეც, ქვეყნის სიყვარულიც და ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება სჭირდება, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

კახა შარტავას თქმით კი ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები მხოლოდ შიდა განხილვებით ვერ მოგვარდება.

– საქართველოს სახელმწიფოს სწორი, სათანადო საერთაშორისო როლი და ფუნქცია მისი მთლიანობისა და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების შესაძლებლობების რეალიზებისთვის სათანადო არეალის შექმნის გარანტია, ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ერთ სახელმწიფოში ფუნქციური ერთობის გარანტი.

მნიშვნელოვანია ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლებიც კაცობრიობაზე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გავლენას ახდენენ, სრულფასოვანი მონაწილეობა და აქტიურობა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი არ არის ორგანიზაციები, რომელთა წევრობისთვის, საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად რომ უნდა იბრძოლოს ქვეყანამ. ეს არის სივრცეები, რომელთა ათვისების პროცესში უნდა მოძებნოს მისთვის კუთვნილი როლი და ფუნქცია, რომელიც იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტი, – განაცხადა შარტავამ.

შარტავას თქმით, ქვეყანა დიდი სტრუქტურების გეოპოლიტიკურ დანამატად ან საკუჭნაოდ და რეგიონის რთული ვითარების მძევლად არ უნდა იქცეს. კავკასიური სივრცის ათვისება, რეგიონული ფუნქციისა და საერთაშორისო ფუნქციის დაკავშირება მათი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება. შარტავას თქმით, საქართველო უნდა იყოს არა საჯილდაო ქვა, არამედ – მრგვალი მაგიდა იმ პრობლემების მოგვარებისა, რომლითაც დაინტერესებულია რეგიონის ყველა სახელმწიფო თუ ჩვენი პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში. თანამედროვე გამოწვევები უამრავ კრიზისსა და კონფლიქტს უმზადებს კაცობრიობას, რომელთა მართვა მხოლოდ ბრიუსელიდან ან ჟენევიდან გართულდება, თუ არ მოხდა ამ პრობლემების პრევენციისა და მართვის ცენტრების დაახლოება კონფლიქტებისა და კრიზისების წყაროებთან. ერთ-ერთი ასეთი სივრცე შეიძლება იყოს საქართველო, სადაც უნდა დაფუძნდეს კრიზისების პრევენციისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტები და საქართველო უნდა გახდეს მაგალითი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ საერთაშორისო პრობლემების მოგვარების მოსურნისა.

– ასე მასშტაბურად დანახული საქართველოა სწორედ ქართული ოცნების შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი. ეს არის ოცნებადქცეული მისწრაფება რეალური სრულფასოვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა, რომელსაც სჭირდება პოლიტიკური სივრცის გათავისუფლება, რათა ამ სივრცემ გაათავისუფლოს სხვა ველები, სადაც ადამიანები შესვლას ვერ ახერხებენ – იქნება ეს ეკონომიკური თუ სამეცნიერო, რადგან პოლიტიკური ველის მონოპოლიზება სხვადასხვა ველის მონოპოლიზებასაც ახდენს.

ქართული ოცნების ახდენის სივრცედ ქცეული საქართველოა ჩვენი მთავარი საზრუნავი, საქართველო, რომელიც არ იქნება ერთი კაცის ან ერთი გუნდის, ერთი პარტიის ოცნებების ასრულების არენა, არამედ, ზოგადად, ქართული ოცნებების ასრულების სამუშაო საამქრო გახდება. ჩვენ ამ სამუშაოსთვის მზად ვართ. თუ ჩვენი მოქალაქეების სურვილიც იქნება, ამას შევძლებთ, დავძლევთ ყველა პრობლემას, გავუმკლავდებით გამოწვევებს. თუ ერთმა ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკაში საკუთარი შემოსვლით რეჟიმის ასე შერყევა შეძლო, ყველანი ერთად ამ რეჟიმსაც დავამარცხებთ და ყველა პრობლემასაც გავუმკლავდებით, – აღნიშნა შარტავამ.

# უმუშევრებისთვის შემწეობის დანიშვნაზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ

თეა მარხვაიძე

20 თებერვალს საინიციატივო ჯგუფმა საქართველოს სარეფერენდუმო კომისიაში შეიტანა სარეფერენდუმო საკითხი – „გსურთ თუ არა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უმუშევრობის პერიოდში ჰქონდეთ შემწეობა?“

საინიციატივო ჯგუფს თამარ იოვაშვილი, ალექსანდრე შალამბერიძე, მარიამ ვარდოსანიძე, ნათელა ქევ-



ხიშვილი და როინ პაპავა წარმოადგენენ. მათი განმარტებით, საკითხი საქართველოს კონსტიტუციის და კანონის (რეფერენდუმის შესახებ) თანახმად დააყენეს.

როგორც ისინი განმარტავენ, აღნიშნული საკითხის დასმა გამოწვეულია საქართველოს მოქალაქეების ტოტალური უმუშევრობით, სიღატაკით, შიმშილით და ამ პრობლემის სრული იგნორირებით ხელისუფლების მხრიდან.

– ვინაიდან რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფირმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საინიციატივო ჯგუფმა გამოიყენა ეს უფლება და საერთო სახალხო გამოკითხვისა და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მიმართა სარეფერენდუმო კომისიას. ჯერი ახლა ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიაზეა, – აცხადებენ საინიციატივო ჯგუფში.

ცესკოდან მათ პასუხი ერთი თვის ვადაში უნდა მოუვიდეთ. საინიციატივო ჯგუფის წევრები იმედოვნებენ, რომ პასუხი დადებითი იქნება.

თავის დროზე მათ იმის იმედიც ჰქონდათ, რომ უმუშევართა პრობლემებს პარლამენტი გულთან ახლოს მიიტანდა. უმუშევართა კავშირმა, რომელსაც თამარ იოვაშვილი ხელმძღვანელობს, პარლამენტში წერილი გასული წლის ოქტომბერში შეაგზავნა.

წერილი პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე იყო. ბაქრაძემ ეს წერილი გადაამისამართა. მისი განხილვით თავი არავის შეუწუხებია. ამის საპასუხოდ უმუშევართა კავშირმა პარლამენტის წინ რამდენიმე აქცია გამართა.

აქციებმა შარშან შედეგი არ გამოიღო. ამიტომაც გადაწყვიტეს, წელსაც გამოეხატათ აღშფოთება. მეტი ეფექტის მოსახდენად პარლამენტთან ცარიელი ქვაბების აქცია გამართეს.

რამდენიმე ასეული ადამიანი, რამდენიმე წუთის განმავლობაში, გულიანად ახმაურებდა ქვაბებს, მაგრამ სპიკერის ყურადღება ვერ მიიქციეს. იმ შენობიდან მხოლოდ აპარატის თანამშრომლები გამოვიდნენ. ცარიელქვაბიანებმა მათ გადასცეს მორიგი წერილი და ბაქრაძესთან დააბარეს, აქ მეორედ ნუ მოგვიყვანო.

ბაქრაძისგან რაკი პასუხი არ მიუღიათ, სავარაუდოდ, კიდევ მოუწევთ იქ ქვაბებით მისვლა. პირობა აქვთ დადებული, რომ მორიგი ვიზიტი უფრო მასშტაბური და ხმაურიანი იქნება. არც ის არის გამორიცხული, უმუშევართა მარში გაიმართოს. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმუშევარია, ასეთი ღონისძიების ჩასატარებლად ხალხის მოგროვება წესით არ უნდა გაჭირდეს.

ამჯერად, როგორც ჩანს, ისინი ცესკოს პასუხს დაელოდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ მოკიდებენ რომელიმე ჭურჭელს ხელს.

სავარაუდოდ, აქტუალური ისევ ქვაბი იქნება. დანებისა და ჩანგლების გამოყენება მხოლოდ მტრის წინააღმდეგ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე ასე თვლის.

# ოსური ოპოზიციის ლიდერი ფეესბემ კიდევ ერთხელ დააკავა

## ძამბოლატ თედეევს უკრაინაში გაფრენის საშუალება არ მისცეს

თეა მარხვაიძე

რუსეთმა, როგორც ჩანს, სერიოზულად მოჰკიდა ხელი ოსურ ოპოზიციას. გასულ წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მათთვის უსიამოვნო სიურპრიზით დასრულდა. მსგავსი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მათ უკვე მიმართეს სათანადო ზომებს.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ იანვარში ფეესბემ ოსური ოპოზიციის ლიდერი ძამბოლატ თედეევი რამდენიმე საათით დააპატიმრა. იქიდან გამოსულმა ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ უარს ამბობდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე და არც საპრეზიდენტო არჩევნებში აღარ იყრიდა კენჭს. პირობა დადო, რომ მხოლოდ სპორტით დაკავდებოდა. ის ხომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო თავისუფალ ჭიდაობაში.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სპორტითაც ვეღარ დაკავდება. მას ეს თანამდებობა დაატოვებინეს. არადა, ამ სფეროში ის ყველაზე მაგარ სპეციალისტად ითვლება. ითქვა, რომ ის ნაკრებში კონსულტანტის მოვალეობას შეასრულებს.

მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას უკრაინაში გადასვლა შესთავაზეს. იქაურ ჭიდაობის ფედერაციას მისი ბიძაშვილი უდგას სათავეში.

რუსეთის სპეცსამსახურებს ეს ინფორმაცია არ გამოეპარებოდათ და, სავარაუდოდ, ამიტომ ჩამოართვეს მას საზღვარგარეთის პასპორტი. ეს პასპორტი მას რამდენიმე დღის წინ დაუბრუნეს. გუშინ ის უკრაინაში გაფრენას შეეცადა, მაგრამ სპეცსამსახურებმა ის უკან დააბრუნეს.

რუსული და ოსური მედიის ინფორმაციით, თედეევი მოსკოვი-სიმფეროპოლის რეისით მიფრინავდა უკრაინაში, სადაც სპეციალური სამკურნალო კურსი უნდა გაევლო. მოგეხსენებათ, რომ ამ ადამიანმა ნოემბრის თვეში გერმანიაში საკმაოდ მძიმე ოპერაცია გაიკეთა.

– თვითმფრინავი აფრენილი იყო, როცა გამოაცხადეს, რომ რიგი მიზეზების გამო ის უკან უნდა დაბრუნებულიყო. ჩვენ შერემეტიევოს აეროპორტში დაგვსვეს, სადაც ჩემთან მოვიდნენ სამართალდამცავები და მითხრეს, რომ რუსეთს ვერ დავტოვებდი, – განაცხადა რუსულ მედიასთან საუბარში თედეევმა.

მას კრემლში საკმაოდ გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა. მას აქამდე ასე იოლად და უბატონოდ ვერავინ უბედავდა ხმის ამოღებას. თუმცა, ახლა ეტყობა, მის მტრებს უფრო მეტი გავლენა აქვთ.



მტრები კი მართლაც საკმაოდ ჰყავს. არსებობს ვარაუდი, რომ მის ჩაძირვას საქართველოდან გაქცეული გოჩა ძასოხოვი ცდილობს. სააკაშვილის მიერ დევნილი ბიზნესმენი რუსეთის საზოგადოებრივ პალატას ჩაუდგა სათავეში. მას სპეცსამსახურებთანაც კარგი ურთიერთობები აქვს.

თედეევს რაც შეეხება, მას საქართველოს ხელისუფლებასთან ცუდი ურთიერთობები არა აქვს. ცნობისათვის, მან გაუწია რეკომენდაცია დიმიტრი სანაკოევს. თავიდან სანაკოევის ადგილს გოჩა ძასოხოვს სთავაზობდა სააკაშვილი, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ გადაეკიდნენ მას ნაციონალები.

ძასოხოვის უარის შემდეგ ამ პოსტის დაკავება იბრაგიმ თედეევს შესთავაზეს, რომელიც ძამბოლატის ძმა იყო. მანაც უარი თქვა და ამის შემდეგ გამონახეს სანაკოევი. თედეევი სანაკოევის წარსადგენად ირაკლი ოქრუაშვილს საგანგებოდ შეხვდა კიევში.

როგორც ედუარდ კოკოითი ამბობს, თედეევს სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებთან დღემდე კარგი კავშირები აქვს.

რამდენად უკავშირდება მისი ჩაძირვა საქართველოს ხელისუფლებას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსები მარტივი მიზეზების გამო ასეთი დონის მწვრთნელს არ შეელეოდნენ.

შეგახსენებთ, რომ 2001 წლიდან დღემდე მისმა გაწვრთნილმა ნაკრებმა ყველა ოლიმპიადასა და მსოფლიო პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა. ამ შედეგისთვის ის მსოფლიოში საუკეთესოდაც დაასახელეს.

# დავით დარჩიაშვილი: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რევანშს მივიღებთ“

## რისი ეშინიათ ნაციონალებს

თეა მარხვაიძე

გუშინ ახალ მესიად მონათლულმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „რედისონში“ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ წარადგინა. მის პოლიტიკურ კოალიციაში შედიან „თავისუფალი დემოკრატები“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, აგრეთვე ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი.



როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს ოპოზიციის ნაწილი და ნაციონალური მოძრაობა უარყოფითად შეხვდა. კოალიციას ყველა მათგანმა ცუდი რამ უწინასწარმეტყველა. ნაციონალები კი ერს უწინასწარმეტყველებენ ცუდს. ეს ცუდი კი მათი თქმით, იმ შემთხვევაში მოხდება თუ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ახალი პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის ჰიპოთეტური დაშვების შემთხვევაში, ძლივს დამარცხებული კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის რევანშს ელის.

როგორც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, 21 თებერვალს გამართულ პრეზენტაციაზე ახალი არაფერი მომხდარა, რადგან უკვე თვეებია, ცნობილია თუ ვინ და რა მოტივით არის ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ დარაზმული.

დარჩიაშვილი ივანიშვილის გუნდისგან სიურპრიზებს ნაკლებად ელის და დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური პროცესი ისე გაგრძელდება, როგორც ახლა მიმდინარეობს. კერძოდ, საარჩევნო კაპანიაში შესვლით, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ „ეკლექტურ კოალიციაზე“ ძლიერია.

„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, დეპუტატი ბიძინა ივანიშვილის გუნდს სუსტ კონკურენტად მიიჩნევს და ამბობს, რომ ის ქართულ პოლიტიკურ ამინდზე სერიოზულ გავლენას ვერ ახდენს.

მისივე თქმით, კონკურენცია მისასალმებელია და სასურველი იყო უფრო რაციონალური და მკაფიო და რეალიზებადი ალტერნატივებით გამორჩეული კონკურენტი გამოჩენილიყო.

დარჩიაშვილის შეფასებით, ახალ კოალიციაში არიან ადამიანები წინააღმდეგობრივი წარსულითა და ურთიერთდამოკიდებულებებით, რომელთაც პოლიტიკის წარმართვის პოზიტიური გამოცდილება არ გააჩნიათ და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რევანშისტებად იქცევიან,

– თუკი ჰიპოთეტურად დავუშვებთ მათ ხელისუფლებაში მოსვლას, მივიღებთ არა ზოგადი ოცნებების ასრულებას, რაც ჩამოუწერიათ, არამედ მივიღებთ ძლივს დამარცხებული კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის რევანშს. ახალ გაერთიანებაში შეკრებილი ხალხის ნაწილს შესაძლოა, არც სურვილი ჰქონდეს და არც უნარი, რომ საქართველოს გამოწვევებს და შეებრძოლონ – რუსულ აგრესიას, კორუფციას და ორგანიზებულ დანაშულს. ეს სამი ვეშაპი შთანთქავდა საქართველოს სულ, ამ ვეშაპების მოთოკვა მოხერხდა, მაგრამ მცირე დრო არის გასული იმისათვის, რომ ვისაუბროთ ამ ვეშაპების სიკვდილზე. ვეშაპები ისევ ისევე დააფჩენენ პირს, როგორც კი საქართველოს ხელისუფლებაში ასეთ კალეიდოსკოპს წარმოადგენენ. კარგი ამბავი ის არის, რომ ეს კალეიდოსკოპი ხელისუფლებაში ვერ მოვა, – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა, რომელსაც თავი არ შეუწუხებია იმის ახსნით, რატომ არ იყო ივანიშვილი ასეთი საშიში, როცა ნაცმოძს აფინანსებდა.

# კარლო კოპალიანი: ცაგერში ჩასულმა სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობა დაასამარა“

თეა მარხვაიძე

ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა კარლო კოპალიანმა სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის მესაფლავედ გამოაცხადა. დეპუტატის მტკიცებით, პრეზიდენტმა ნაციონალების კუბოს



ბოლო ლურსმანი დააჭედა და ეს ფაქტი კოპალიანის სამაჟორიტაროში მოხდა.

ნაციონალების დასამარებას დეპუტატმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა. დეპუტატის თქმით, სააკაშვილი მის სამაჟორიტაროს 2006 წელს დიდი ზარ-ზეიმით ეწვია. იმ დროს ნაციონალები და სააკაშვილი ძალიან პოპულარულები იყვნენ.

ჯერაც დიდების ზენიტში მყოფ სააკაშვილს ლეჩხუმელებისთვის ათასგვარი დაპირება მიუცია. ასეთ დაპირებებს სააკაშვილი ყველა რაიონში ვიზიტისას იძლეოდა.

აი, როგორ სრულდებოდა შემდეგ დანაპირები, ეს უკვე სხვა საქმეა. დაპირებები, კოპალიანის თქმით, არც ცაგერში შესრულებულა. ამის გამო კი პრეზიდენტი სულაც არ ღელავს. ის არც იმას განმარტავს, რატომ არ შესრულებულა დანაპირები.

– რამდენიმე დღის წინ, ცაგერში სტუმრობისას კი, შეუსრულებელი დაპირებების მაგივრად, მხოლოდ გაბრწყინებულ საქართველოზე ისაუბრა, – განაცხადა კარლო კოპალიანმა.

კოპალიანის ინფორმაციით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცაგერში სამი თვის წინ გახსნილი საავადმყოფო ახლაც ზარ-ზეიმით გახსნა.

– პრეზიდენტი შვეიცარიის მსგავს ქვეყანაზე ესაუბრა გლეხებს, რომლებსაც უფილტრო სიგარეტის ფულიც კი არ უდევთ ჯიბეში და სახლში მხოლოდ ცივი მჭადი ელოდებათ. 500-მდე დამეწყრილი ოჯახი კი დღემდე ელოდება შეპირებულ დახმარებას. იმ საავადმყოფოში, რომელიც „აისი ჯგუფმა“ გახსნა, ადგილობრივი მოსახლეობის 80% ვერ შედის. ადგილობრივებმა კარგად იციან, რომ ყველაფერი, რაც პრეზიდენტმა იქ ისაუბრა, უბრალოდ ტყუილია, – ამბობს კოპალიანი.

დეპუტატის თქმით, სწორედ ამიტომ იყო შეხვედრა მდუმარე და ჩუმი.

– ცაგერში არავის დაუკოცნია პრეზიდენტისთვის ხელები და არც არავის უყვირია „მიშა, მიშა“. სწორედ ამიტომაც ეს შეხვედრა ტელევიზიებით დიდად არ გაშუქებულა, რადგან მისი შელამაზება შეუძლებელი იყო, – განაცხადა ცაგერის მაჟორიტარმა.

ბრიფინგის დასასრულს კოპალიანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სწორედ პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დარიგდა მოსახლეობაში და იქვე შეკრებილ ხალხში „ქართული ოცნების“ ბროშურის 200 ეგზემპლარი.

შორენა კოწოწაშვილი

# გია ხუხაშვილი: ივანიშვილი სააკაშვილის ჩანაცვლებას არ აპირებს“

**ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, ბიძინა ივანიშვილს საკმაოდ დიდი დიაპაზონი აქვს და ივანიშვილი არ უდრის რესპუბლიკელებს.**

ხუხაშვილის აზრით, არასწორია, როცა ივანიშვილის ფულზე კეთდება აპელირება, რადგანაც ფული ხელისუფლებას გაცილებით მეტი აქვს.

— მე ვფიქრობ, ხელისუფლება ზოგადად დააფრთხო ივანიშვილის ფიგურამ და არა მხოლოდ ფინანსებმა. ვფიქრობ, ივანიშვილის მთავარი რესურსი მისი ფინანსები არ არის. ივანიშვილის მთავარი რესურსი არის მისი ავტორიტეტი და მისი წონა. ვფიქრობ, ხელისუფლებას ამის უფრო ეშინია, ვიდრე მისი ფინანსების. ხელისუფლებასაც არ აკლია არც ფული და არც სხვა ტიპის რესურსი. ხელისუფლებას პოლიტიკური ბრძოლისთვის ბევრად უფრო მეტი ბერკეტი აქვს, ვიდრე ივანიშვილს. ხელისუფლებას ფულიც აქვს, მედიაც კონტროლირებულია, ძალოვანებიც მისია და ა.შ., მაგრამ მათთვის ივანიშვილი საფრთხეს წარმოადგენს, როგორც უპირობო ავტორიტეტი, — აცხადებს ხუხაშვილი და იქვე მიუთითებს, რომ მას აქვს მორალური და ინტელექტუალური შესაძლებლობები, მიუხედავად უსამართლო და სასტიკი გარემოსი.

ექსპერტი ფიქრობს, რომ საბოლოო ჯამში, ნაციონალებს ფული ქვეყნის გარეთ საძებარი გაუხდებათ. თუმცა ახლა აქვთ შანსი, რომ ბიუჯეტი მთლიანად არჩევნებზე მიმართონ.

იქონიებს თუ არა რესპუბლიკელების დაბალი იმიჯი ივანიშვილის კოალიციაზე გავლენას და რატომ უნდა გამოკვეთოს საგარეო ორიენტირები ივანიშვილმა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ გია ხუხაშვილთან.

***— ბატონო გია, ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის მიმართ სხვადასხვა შეფასება ისმის. მათ შორის სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს ეჭვს, რომ ხელისუფლების ჩანაცვლებისთვის ბრძოლა უფრო იკვეთება, ვიდრე სისტემური ცვლილებებისთვის. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— არ ვიცი, რა ლოგიკაზე დაყრდნობით ვითარდება ეს მოსაზრებები. არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს ასეთი სურვილი ჰქონოდა ოდესმე, რომ ვილაცა ჩაენაცვლებინა. იმიტომ, რომ მისი მიზანი არ არის ჩანაცვლება. ჩანაცვლებაზე შეიძლება ფიქრობდეს პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს ძალაუფლების ამბიციები. ივანიშვილს ასეთი რამ დღემდე არ გამოუვლენია. შესაბამისად, სიმართლე გითხრათ, ამ მოსაზრებაში მაინცდამაინც დიდ ლოგიკას ვერ ვხედავ.

***— პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, იმის გამო, რომ ივანიშვილი მხოლოდ არჩევნებზეა ორიენტირებული და მოქმედ საარჩევნო კანონმდებლობას არ აპროტესტებს, „ქართული ოცნების“ ლიდერი ნაციონალებთან ძალაუფლებას გაიყოფს.***

— აქაც, სიმართლე გითხრათ, ამ თეზასაც გარკვეულწილად ეჭვქვეშ დავაყენებდი. იმიტომ, რომ ივანიშვილი რაღაც ორ ცეცხლს შუაა მოქცეული. თუ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია, სხვა პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ის არის ამერიკული პროექტი. სინამდვილეში ასეთი ვითარებაა, როდესაც ასეთი ტიპის გაერთიანებაა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები გამოითქმება. გეტყვით, რომ არც ერთია მთლად მართალი და არც მეორე. ასე რომ, ფასეულობათა დონეზე მის განაცხადებში დასავლური ფასეულობების ერთგულება იგრძნობა, იმიტომ, რომ საუბარია დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებაზე, თავისუფალ ბაზარზე, მაგრამ ეს არის ფასეულობათა გარკვეულ სისტემაზე ორიენტაცია. ხოლო ის, რომ ივანიშვილი ვიღაცაზე მუშაობს, არა მგონია, რომ ეს ასე იყოს. ივანიშვილი არის პროდასავლური, მაგრამ ორიენტაცია არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ვიღაცის მსახური იყოს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ასეთი მსახურები მრავლად გვყავს. ივანიშვილი შეიძლება იყოს პარტნიორი დასავლეთის და არა მსახური. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, ჯერჯერობით პოლიტიკური პროცესი აქტიურ ფაზაში არ გადასულა. თუმცა იცით თქვენ, რომ საზოგადოება ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა, იგივე ახალი წლის წინ მიღებული კანონის — პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ — შემდეგ. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბარი მიდის გარკვეულწილად, მაგრამ ხელისუფლებამ, რომლის ხელშიც არის როგორც საპარლამენტო პულტები, ასევე სხვა ინსტრუმენტები, ეს საკითხი თითქმის დახურა. მე ვფიქრობ, რომ ამაზე კიდევ ბევრი საუბარი იქნება. თუმცა საეჭვოა, რომ ხელისუფლებამ საარჩევნო გარემო გააუმჯობესოს. მე თვითონ სკეპტიკურად ვუყურებ, რომ ხელისუფლება რაიმენაირად გააუმჯობესებს საარჩევნო გარემოს. აქედან გამომდინარე, მე, როგორც გვერდიდან ვხედავ, პოლიტიკური ძალები უბრალოდ აკეთებენ მხოლოდ განაცხადს. ისინი ამბობენ, ვიბრძვი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის, მაგრამ რომც არ გაუმჯობესდეს საარჩევნო გარემო, ჩვენ მაინც წავალთ, თუნდაც ამ უსამართლო გარემოში და მაინც მივაღწევთ წარმატებას. ეს, ჩემი აზრით, აბსოლუტურად სწორი განაცხადია. იმიტომ, რომ თუ საზოგადოება, ამომრჩეველი იქნება აქტიური, რაც არ უნდა შეეცადოს ხელისუფალი, რომ რაც შეიძლება მეტი მანიპულაცია განახორციელოს და უსამართლო გარემო შექმნას, პირიქით, გამარჯვებას ქართველი ხალხი მაინც მოიპოვებს, რაც არ უნდა გაუსაძლისი გარემო იყოს. მე ვფიქრობ, რომ თუ ეს პროცესი სწორად წავიდა, ხელისუფლების დამარცხება, უბრალოდ, გარდაუვალი გახდება.

***— მხოლოდ ხალხის მასობრივი მხარდაჭერის იმედად უნდა იყოს იგივე ივანიშვილი, თუ უნდა, რომ დაპირება შეასრულოს, პარლამენტში უმრავლესობით მოვალო...***

— რა თქმა უნდა. ამომრჩევლის მაღალი აქტივობა არის ფაქტობრივად, ერთადერთი გარანტია იმისა, რომ ხელისუფლება ვერ გაბედავს მასობრივ გაყალბებას და შედეგი იქნება მიღწეული. ხალხი არის ხელისუფლების წყარო. აქედან გამომდინარე, ეს არის ის ძალა, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაუძლებს, რაც არ უნდა სასტიკი და დაუნდობელი იყოს. ჩვენ ამის ბევრი მაგალითი ვნახეთ ბოლო წლებში.

***— ბატონო გია, ეს გასაგებია, თუმცა საზოგადოებაში ივანიშვილის ფლანგის ინერტულობა, პასიურობა და გარკვეული ნაბიჯების არგადადგმა არამხოლოდ კითხვის ნიშნებს აჩენს.***

— ეს მესმის. შეიძლება მეც მქონდეს გარკვეული კითხვები, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტივი საკითხი არ არის პოლიტიკური პროცესის ორგანიზება. თუ ჩვენ ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილზე ვსაუბრობთ, სულ ორი-სამი თვეა, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა. რა თქმა უნდა, მას ამ პროცესის ორგანიზებისთვის დრო სჭირდება. ამისთვის უზარმაზარი სამუშაოა ჩასატარებელი. ის არ არის იმ ტიპის პოლიტიკოსი, რომელიც გამოვა, გააკეთებს განცხადებებს, გააჩენს დიდ იმედებს და მერე დიდ იმედგაცრუებას. შესაბამისად, რა თქმა უნდა, მენეჯერულად ძალიან ბევრი რუტინული, ყოველდღიური სამუშაოა შესასრულებელი და, ბუნებრივია, ამას დრო სჭირდება. ქართველი ხალხი საერთოდ სულსწრაფია და ყველაფერი სწრაფად უნდა. ანუ სწრაფად უნდა დაწყება და დამთავრება. სამწუხაროდ, ჩვენმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწრაფად დაწყებული საქმე, სწრაფადვე ცუდად მთავრდება და სხვების სასარგებლოდ. ბიძინა ივანიშვილი სისტემური ადამიანია. ის მოკლევადიანი ემოციური გათვლებით არ მოქმედებს. მეჩვენება, რომ ივანიშვილი არც ბიზნესში მოქმედებდა ემოციური გათვლებით, მით უმეტეს, არც პოლიტიკაში იმოქმედებს გამომდინარე იქიდან, რომ ესმის ჩვენი ხელისუფლების რეალური, საკმაოდ სახიფათო ბუნება. ასე რომ, მე ვფიქრობ, ესეც სწორი გათვლაა, რომ ყველაფერი უნდა აკეთო აუჩქარებლად და საფუძვლიანად, რომ მიიღო შედეგი და არა დაიძახო ლოზუნგი და მერე ვერ შეასრულო. ჩვენ მსგავსი პერიოდები გვინახავს და არცთუ ისე კარგად დამთავრებულა. ივანიშვილი სხვა გზით მიდის და მე ვფიქრობ, ეს სწორია.

***— „ქართული ოცნების“ ლიდერის საგარეო ორიენტირები, თქვენი აზრით, უკვე გამოკვეთილია? პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ მთავარი მიზანი ნატოს წევრობა არ უნდა იყოს და ივანიშვილმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს პოზიცია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში.***

— მე მგონი, ივანიშვილის პოზიცია ცალსახაა. გამიჭირდება კონკრეტულად თქმა, მაგრამ რაც წამიკითხავს მისი ინტერვიუები და მისი განცხადებები, პრინციპში, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოს გამთლიანება. არა ტერიტორიების დაბრუნება, არამედ საქართველოს გამთლიანება. აფხაზების და ოსების ქართულ სივრცეში რეინტერგაცია. თუ ამ ტერიტორიების დაბრუნების გეგმებზე ვისაუბრებთ, მე მგონი, საქართველოში არც არსებობს ადამიანი, რომელიც დადებს ამ გამთლიანების ფორმულას. ეს არის პროცესი. თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, მას ამის რესურსი აქვს. თუ ვინმეს აქვს ასეთი კითხვა, რომ ივანიშვილს სურს კი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება? ეს მე ვფიქრობ, ძალიან არასერიოზული კითხვაა. მე არ მეგულება საქართველოში არც ერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ამის სურვილი არ ჰქონდეს.

***— რამ გააჩინა ამდენი კითხვის ნიშანი ივანიშვილის პოლიტიკურ ძალასთან მიმართებაში, რესპუბლიკელების გაურკვეველმა პოზიციამ რიგ საკითხებთან მიმართებაში, იგივე კონფედერაციის მონახაზმა?***

— მე არ ვფიქრობ, რომ ამდენი უნდა ვილაპარაკოთ რესპუბლიკელებზე. მე ვფიქრობ, ძალიან უტრირებულია. ჩემი აზრით, უფრო მეტი ბრალდებათ რესპუბლიკელებს, ვიდრე რეალურად აშავებენ. ეს გარკვეული უსამართლობაა ქართველი საზოგადოების მხრიდან რესპუბლიკელების მიმართ. მაგრამ არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს ასეთი მისწრაფებები ჰქონდეს. მისი პოლიტიკური დიაპაზონი იმაზე ფართოა კიდევ, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ივანიშვილის დიაპაზონი არის განუზომლად უფრო დიდი, ვიდრე თუნდაც რესპუბლიკელების. ასეთი პირდაპირი ანალოგიები არც იქნებოდა სწორი. ბიძინა ივანიშვილი არ უდრის რესპუბლიკელებს. რესპუბლიკელები მისი პოლიტიკური პარტნიორები არიან, ეს კარგია, მაგრამ მისი მოქმედების არეალი და მისი მოქმედების ტექნოლოგიები კი არ უდრის რესპუბლიკელებს, არამედ მოიცავს მას და მნიშვნელოვნად აფართოებს.

***— დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება? მაისი შემთხვევით გაჟღერდა?***

— მაისის ამბავი ძალიან არასერიოზულია. რა თქმა უნდა, არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება. უნდა ეს ვივარაუდოთ იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ხდებოდა ქართულ სინამდვილეში აპელირება არჩევნების მაისში ჩატარებაზე. ძალიან უცნაურად მოიქცა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ჯერ შეჰქონდა საკონსტიტუციო სარჩელი და მერე აღარ. რა შეჰქონდა, არ გვინახავს. მე პირდაპირ ეთერში ვთხოვე ამ ორგანიზაციის წარმომადგენელს, ეჩვენებინა სარჩელის ტექსტი, თუ ასეთი არსებობდა. დამპირდა, რომ ორშაბათს მომაწვდის. მაინტერესებს, რა ეწერა იმ სარჩელში. სამოტივაციო ნაწილი ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. როგორ უნდა გამხდარიყო ეს საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარე.



## თბილისის მერიასთან კიკვიძის ბაღის გაჩეხის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

თბილისის მერიასთან კიკვიძის ბაღის გაჩეხას გუშინ „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი“, „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მწვანეებისა“ და ნაძალადევის მოსახლეობა აპროტესტებდა.

როგორც „ნიუსპრესს“ „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განუცხადა, დღევანდელი აქციის მიზანი „იმ უკანონობის შეჩერებაა, რომელიც კიკვიძის ბაღში ხორციელდება“.

მისივე თქმით, ისინი ნაძალადევში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად კიკვიძის ბაღში ყოველდღე მორიგეობენ, რათა იქ ხეების მოჭრის პროცესი არ გაგრძელდეს.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ინფორმაციით, კიკვიძის ბაღში პოლიციის შენობის შესაძლო მშენებლობისთვის ტერიტორიაა შემოსაზღვრული. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე 17 ხე მოიჭრა.

**ნიუსპრესი**

## ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში მოსწავლეებს ფილმი აჩვენეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში, იუნკერთა სახელობის თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ლატვიელი რეჟისორის, ედვინ შნორის დოკუმენტური ფილმი „საბჭოეთის ისტორია“ წარუდგინა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, „საბჭოეთის ისტორიის“ შექმნის იდეის ინიციატორები ევროპარლამენტის დეპუტატები არიან. ფილმში საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის შედარებაა ნაჩვენები და დოკუმენტური ფოტო და კინო მასალაა გამოყენებული.

ფილმმა მოზარდების დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსწავლეებმა 2008 წლის აგვისტოს ომიც და ის მხარდაჭერა გაიხსენეს, რაც მაშინ მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა საქართველოს აღმოუჩინეს.

„ოკუპაციის კვირეული“ განათლების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად, თებერვლის მეორე ნახევარში აღინიშნება, რომლის ფარგლებში „საბჭოეთის ისტორიას“ ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნობიან.

**ნიუსპრესი**

## დემოკრატიული მოძრაობა“ საარჩევნო სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას უნდობლობას უცხადებს



„დემოკრატიული მოძრაობა“ საარჩევნო სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

როგორც პარტიის მთავარი საბჭოს ასოცირებულმა წევრმა, ლერი გელენავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლება არ არის დაინტერესებული ამომრჩეველთა რეალური სიების არსებობაში, ვინაიდან გაყალბებული სიები მისთვის არჩევნებზე ხმებით მანიპულირების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

„საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ გამოვიდა ინიციატივით, რომ შეიქმნას ამომრჩეველთა სიების დადგენის ალტერნატიული კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება არა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებით, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე ადამიანებისაგან. კომისიის მუშაობაში ასევე ჩართულები უნდა იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც მისი დამოუკიდებლობის გარანტი იქნება“, — აღნიშნა გელენავამ.

მისივე თქმით, ამ ინიციატივის საფუძვლიანობა და აუცილებლობა კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც გამოქვეყნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ ჩატარებული სიების აუდიტის „საგანგაშო“ შედეგები.

როგორც ბურჯანაძის გუნდის წარმომადგენელმა აღნიშნა, ანგარიშში წარმოდგენილია, რომ დაახლოებით 53% ამომრჩევლისა დადასტურებულად ცხოვრობს რეგისტრაციის ადგილზე, 7% კი გარე მიგრაციაშია, 9% შიდა მიგრაციაში იმყოფება, ხოლო 25 % ამომრჩევლის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება საერთოდ ვერ მოხერხდა.

„მარტივი არითმეტიკითაც კი ნათელია, რომ ქვეყანაში ამომრჩეველთა 30-40%-ის, ადგილსამყოფელი დაუდგენელია და ალბათ ზედმეტი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო იმასთან დაკავშირებით, თუ ეს ხმები რომელი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული და ვის მიეწერება აღნიშნული პროცენტი მომავალ არჩევნებზე“, — განაცხადა გელენავამ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მიუხედავად ოპოზიციურ პარტიებს შორის იდეოლოგიური განსხვავებებისა, არის საკითხები, როდესაც ოპოზიციამ უნდა დააფიქსიროს ერთიანი მტკიცე პოზიცია, ამომრჩეველთა რეალური სიები კი ნამდვილად გახლავთ ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება.

**ინტერპრესნიუსი**

# ლევან ვეფხვაძე: მე ვარ მოქკავშირის მამა და დამფუძნებელი?!“

ქეთი ხომერიკი

თარგამაძის პარტიასა და ფრაქცია ,,ერთობა სამართლიანობის“ წევრებს შორის დაპირისპირება და ურთიერთბრალდებების სერია კვლავ გრძელდება. ლორთქიფანიძე ვეფხვაძისგან კატეგორიულად ითხოვს დაასახელოს, უმცირესობის რომელი წარმომადგენლის მოსყიდვა სცადეს, ან გაკეთებული განცხადების გამო საჯაროდ ბოდიში მოიხადოს. ,,მოქკავშირის“ მამად წოდებული ვეფხვაძე არათუ ბოდიშის მოხდას აპირებს, არამედ მორიგ ბრალდებებს უყენებს ივანიშვილთან გაერთიანებაზე მეოცნებე ფრაქციის წევრებს. ,,ახალ თაობას“ ,,ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ესაუბრა.

**ლევან ვეფხვაძე:**

– ეს ფრაქცია ხშირად აცხადებს, რომ უმცირესობის ერთ-ერთ წევრთან აქვს მოლაპარაკება. მაშინ, დაასახელონ, ვისთან აქვთ მოლაპარაკება. მე არ ვასახელებ შეგნებულად, სწორედ იმიტომ, რომ ამ ადამიანის სახელისა და გვარის უხერხულ კონტექსტში ხსენება ნამდვილად არ არის ეთიკური ჩემი მხრიდან. მათ რაც შეეხებათ, ზოგადად დიმიტრი ლორთქიფანიძე ხშირად ამბობს ხოლმე, რომ ყველაფერი ცილისწამებაა. თუ ის ჩათვლის, რომ ჩემი განცხადება ცილისმწამებლურია, შეიტანოს სასამართლოში, რატომ არ შეაქვს? პრობლემა სწორედ ის არის, რომ მე, დიმიტრი ლორთქიფანიძე უხდის ვიღაცას ფულსმეთქი, ნამდვილად არ მიგულისხმია, რადგან ლორთქიფანიძეს ბალი ათ შაურს არავინ ეკითხება არც ამ ფრაქციაში და არც იმ პოლიტიკურ გუნდში, რომელთანაც უნდათ, რომ მოაზრებული იყვნენ.

***– კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“ გულისხმობთ?***

– დიახ, აქ ლაპარაკია ივანიშვილსა და მის გუნდზე, რომელიც ჩვენ გვებრძვის და არა ხელისუფლებას. თურმე, უმცირესობას რომ დაშლიან და, შესაბამისად, არ გვექნება შესაძლებლობა, გამოვიყენოთ 45 წუთი პოლიტიკური დებატების დროს, ეს იქნება ყველაზე დიდი წარმატება, რაც შეიძლება ივანიშვილსა და მის გუნდს ჰქონდეთ. ამ ფრაქციას უნდა, რომ იყოს იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი პარლამენტში, მათ შორის, ცაგარეიშვილი ასეთი ადამიანია. ხომ გახსოვთ? აი, ასეთი ადამიანია პარლამენტში, რომელიც ,,თავისუფალ დემოკრატებს“ წარმოადგენს, თუმცა, მისი ოჯახის წევრებს, სიმართლე გითხრათ, შეიძლება, აღარც ახსოვთ, რომელ პარტიას წარმოადგენს, რადგან იმდენი პარტია აქვს გამოცვლილი, რომ უკვე თვლაც აერიათ, მაგრამ, ზოგადად, რაც შეეხება ამ ფრაქციის აქტივობას, კიდევ ერთხელ ვამბობ, მათ, როგორც ჩანს, ადგილის დამკვიდრება უნდათ არა ხელისუფლებასთან, არამედ ჩვენთან, ქდმ-სთან ოპონირებით. დიახ, ეს მიაჩნიათ მათ თავიანთ ფუნქციად საქართველოს პარლამენტში, რადგან ისინი იყვნენ მანამდე, ნაწილი – უმცირესობაში, ნაწილი დამოუკიდებელი დეპუტატი იყო, მაგრამ მე ნამდვილად, არ მახსოვს მათი სერიოზული ოპონირება ხელისუფლებასთან.

***– და მართლაც, რატომ ესხმით თავს ამ ინტენსივობით ერთმანეთს და არა მმართველ პარტიას?***

– აი, მაგალითად, დიმიტრი ლორთქიფანიძეს ჰგონია, მე, რომ დამიპირისპირდება, ამით ივანიშვილი ჩასვამს სიაში, მაგრამ მე მართლა მინდა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვკითხო ერთი რამ – გაარკვიოს ეს ხალხი, უთხრას, რა უნდა მათგან, რას უპირებს, თორემ დაიღალნენ ამ გაურკვევლობით. თუ სვამენ ერთიან სიაში, ესეც უთხრან და მშვიდად იქნებიან, იმიტომ რომ ამ აქეთ-იქით ხტუნაობით, როგორც ჩანს, ვერ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ ცხოვრებაში და სამიზნეში ამიტომაც ვართ ჩვენ. აი, ეს არის ერთი მიზეზი და მეორე, რაც ვთქვი – ის, რომ ხელისუფლებასთან ოპონირება არ გამოსდით და, ბუნებრივია, გადაწყვიტეს ჩვენთან ოპონირება. ხელისუფლებასთან ოპონირება რომ გამოსდიოდეთ, ჩვენ, მე და თქვენ, გვემახსოვრებოდა მათი აქტივობები ბოლო სამი წლის განმავლობაში. გახსოვთ, ალბათ, ზოგი ჩუმად იჯდა, ზოგი უმცირესობაში იყო და ნამდვილად არ ამიკრძალავს მიკროფონთან მისვლა, მაგრამ არ მისულა მიკროფონთან, შესაბამისად, ჩვენთან საკამათო და სადავო ნამდვილად არ აქვთ. მე შემიძლია, დებატიც კი შევთავაზო მათ, მაგრამ აზრი აქვს, ველაპარაკო ზავზე იმ ფრაქციას, რომლის მიზანიც ჩვენთან ბრძოლაა? ახლა რა ვუთხრა, აღარ მებრძოლომეთქი? სხვასთან ბრძოლა არ გამოსდით და ხომ უნდა გამოჩნდნენ ეკრანზე?

***– ხელისუფლებასთან შეკრულ პოლიტიკურ ძალას გიწოდებენ, ცაგარეიშვილმა ისიც კი განაცხადა, ვეფხვაძე ,,მოქკავშირისა“ და ,,ნაციონალების“ მამა დამფუძნებელს ემსგავსებაო...***

– ეს არის პოლიტიკური ბრძოლა. მე ვიყავი ,,მოქკავშირის“ მამა დამფუძნებელი? მე ვემსგავსები? მთელი უბედურება ის არის, რომ ეს ხალხი არაფერს აღარ ემსგავსება, სახეს კარგავს. ამ საუბრების მიზანი კი ის არის, რომ თუკი ვინმე იქნება ხელისუფლებასთან შეკრული, ის არის მთავარი დარტყმის ობიექტი და ისინი კი გამოჩნდნენ ჭეშმარიტ ოპოზიციურ ძალად. დიახ, ეს არის მათი მიზანი, რომ ისინი ჩანდნენ ჩვენს ფონზე ოპოზიციურ ძალად, მაგრამ ჩემი მიზანი, მათგან განსხვავებით, ხელისუფლებასთან ოპონირებაა და ის, რომ ეს ხელისუფლება არ იყოს სათავეში. თუ ჩვენ ხელისუფლებაში ვერ მოვალთ, დიმა ლორთქიფანიძე ხომ ვერსად ვერ მოვა საერთოდ და რაზე მელაპარაკებით. გია ცაგარეიშვილიც ვერსად ვერ მოვა. ის თავისუფალ დემოკრატებში იქნება მე-15 სიაში, 137-ე – ,,ქართული ოცნების“ სიაში და შემდეგ პარლამენტში ვერ შევა. იცით, პარლამენტში რატომ შევიდა? ვაიმე, რა ვქნა, ხელფასი რომ არ მქონდეს, შიმშილით მოვკვდებიო და გავარდა, შეასწრო ყველას. დიახ, ცრემლმორეული შერბოდა პარლამენტში ბატონი ცაგარეიშვილი და დიმა ლორთქიფანიძეც დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში იყო, ოღონდ, გია ცაგარეიშვილი თუ ცრემლმორეული თორთლაძემ შეიყვანა პარლამენტში (და დღეს რომ თორთლაძეს ლანძღავს), დიმა ლორთქიფანიძე პაატა დავითაიამ შეიყვანა. როგორ და რანაირად მოხვდა გაერთიანებული ოპოზიციის სიაში, ესეც კარგად გაიხსენოს.

***– რას გულისხმობთ?***

– სალომე ზურაბიშვილმა თავისი ადგილი დაუთმო და ბოლოს ის ადამიანი, რომელმაც ის წარადგინა, ანუ სალომე ზურაბიშვილი, გადააგდო და პაატა დავითაიასთან იყო, ახლა ბიძინა ივანიშვილთან უნდა, მეტიც, ოცნებობს ამაზე. გაიხსენოს ეს დიმა ლორთქიფანიძემ და თუკი უმცირესობა ხელისუფლებასთან არის შეკრული, მაშინ ბოდიში მოიხადოს საკუთარ წარსულზე, რადგან უმცირესობამ წარადგინა ის ომბუდსმენის კანდიდატად, უმცირესობის სახელით გამოდიოდა პრეზიდენტის მოსვლის დროს და ა.შ. ვიმეორებ, გაიხსენოს საკუთარი წარსული, სად იყო სამი წელი და ბოდიში მოიხადოს. კარგ რამეს გეტყვით, რა! გიორგი თარგამაძე „აღორძინებით“ შევიდა 99 წლის პარლამენტში და, როდესაც მისი და ასლან აბაშიძის გზები გაიყო, ის წამოვიდა „აღორძინებიდან“ და თქვა – მე თუ „აღორძინებამ“ შემომიყვანა პარლამენტში და მივდივარ „აღორძინებიდან“, მაშინ წავალ ამ პარლამენტიდანო, წავიდა კიდეც და აუგი არასდროს უთქვამს ასლან აბაშიძეზე, იმიტომ რომ საკუთარ წარსულს სცემდა პატივს და საკუთარ თავს – პირველ რიგში.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– სამწუხაროდ, დიმა ლორთქიფანიძე არც საკუთარ თავს სცემს პატივს, ისევე, როგორც ცაგარეიშვილი და არც საკუთარ წარსულს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ერთი თორთლაძემ შემოიყვანა თვალზე ცრემლმომდგარი პარლამენტში, მეორე კი ბატონმა პაატა დავითაიამ. ახლა რაც ხდება, კონკრეტულად ბატონი ბიძინას მიმართ პირდაპირი კასტინგია. დიახ, კასტინგი ჰქვია ამას, საკუთარი თავით ვაჭრობენ, რომ როგორმე სიაში ჩასვან, მაგრამ არ ჩასვამენ, რადგან ასეთი ხალხი, რომელმაც 7-7 პარტია გამოიცვალა, არა მგონია, იმავე ბიძინა ივანიშვილს რამეში გამოადგეს.

***– არ გვეტყვით, ვინ არის ის დეპუტატი, რომლის მოსყიდვასაც ცდილობდნენ და ივანიშვილის გარემოცვიდან ვინ ცდილობდა კონკრეტულად?***

– მათ ჰკითხეთ, თვითონ ამბობდნენ, მე არ დამიწყია ამაზე ლაპარაკი, თვითონ დაიწყეს, რომ აქვთ მოლაპარაკება უმცირესობის ერთ-ერთ წევრთან. გაიხსენეთ, ვინ დაიწყო ლაპარაკი, როგორ და ვისზე – თვითონ გეტყვიან.

***– ისე, საპარლამენტო უმცირესობა ორჯერ აღმოჩნდა დაშლის საფრთხის წინაშე. ითქვა, ხელისუფლებამ გადაარჩინაო. რა პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციაში რეალურად?***



– ეს პროცესია ბრძოლა იმ 45 წუთის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს არის ელემენტარულად მიკროფონის წართმევის მცდელობა ჩვენთვის, მეტი არაფერი, თორემ, უმცირესობა რომ ტექნიკური გაერთიანებაა და არანაირი იდეოლოგიური ერთობა არ არის ფრაქციისგან განსხვავებით, ცხადია. აი, ფრაქცია, სხვათა შორის, იდეოლოგიური ერთობაა და გაიხსენონ, რომ ატეხეს ჯონდი ბაღათურიამ და გია ცაგარეიშვილმა ერთი ამბავი, აგერ ,,ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ არჩევნების გადმოტანას მაისში ითხოვს და ეს ხელისუფლების დაკვეთით ხდებაო. მე, მაინტერესებს, აპირებენ თუ არა თამაზ დიასამიძის გარიცხვას ფრაქციიდან იმის გამო, რომ დიასამიძე გაცილებით ადრე ლაპარაკობდა იმაზე, რომ არჩევნები მაისში უნდა ჩატარდეს. დიახ, საინტერესოა, აპირებენ თუ არა ბატონი თამაზ დიასამიძის ფრაქციიდან გაგდებას, რადგან ის თურმე ხელისუფლებასთან ყოფილა შეკრული, როგორც ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამას ითხოვდა. გაიხსენეთ ცაგარეიშვილისა და ბაღათურიას კომენტარები ამ თემაზე. გამოდის, რომ ხელისუფლების დაკვეთით ბატონი თამაზიც იმავეს აკეთებდა და გარიცხონ ფრაქციიდან. რატომ არ რიცხავენ, ვინ უშლით?

***– მაჟორიტარებზეც მინდა გკითხოთ. ითქვა, ივანიშვილისკენ იყურებიანო...***

– მაჟორიტარებთან დაკავშირებით პრობლემაა. ხელისუფლება დროს ჭიმავს, რადგან იციან, რომ ყველა მაჟორიტარს არ წარადგენენ, ვიღაცას წარადგენენ, ვიღაცას – არა, ბუნებრივია, იმ მაჟორიტარებს, რომლებსაც განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ და იმავე კურდღელაშვილზე გეტყვით, რომ ატყდა ამბავი. კურდღელაშვილი ვაჟკაცი კაცია, მას იმავე რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონისთვის არ მიუცია ხმა, სხვებისგან განსხვავებით. მას ჰქონდა განსხვავებული აზრები, ვაჟკაცურად მოიქცა და ამ ადამიანისადმი დღეს ასეთი მოპყრობა ელემენტარული უმადურობა და არაკაცობაა. რაც შეეხება სხვა მაჟორიტარებს, იმათ, რომლებსაც სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული აზრები ჰქონდათ, ხელისუფლება აღარ წამოაყენებს, რადგან მათ სრული მონები სჭირდებათ. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას, სად იყვნენ და როგორ იყვნენ. ან ჩვენთან გადმოვლენ, ან სხვა ფრაქციაში, ან საერთოდაც წავლენ პოლიტიკიდან, მაგრამ, იმედი მაქვს, ეს პროცესი მალე დაიწყება და დღევანდელი გუნდიდან ძალიან ბევრი მაჟორიტარი დეპუტატი წამოვა.


## სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი აცხადებს

### ღია კონკურსს

### სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

I. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილების, კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორიაში:

1. მეცნიერი თანამშრომელი 0,5 საშტატო ერთეული.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. განმცხადებლის ავტობიოგრაფია;
3. შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში);
5. ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
6. სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში);
7. სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოგონების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს **სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში**

**მისამართი: ქ. თბილისი, ე. მინდელის №7 (10სთ-დან –17სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა).**

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2012 წლის 28 თებერვალი**

კონკურსი ჩატარდება **2012 წლის 29 თებერვალს**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ტელ: 232 47 16; 232 59 90; 232 61 78**

**www.mining.org.ge**

*სამთო ინსტიტუტის დირექცია*


## პროფკავშირების გაერთიანება საპენსიო კანონში შესატან ცვლილებებს აკრიტიკებს



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება პენსიების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს ეხმაურება და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფკავშირებისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია.

პროფკავშირების შეფასებით, კანონში დაგეგმილი ცვლილებებით ბენეფიციარები იქნებიან მხოლოდ ასაკით პენსიონერები და მხოლოდ მათზე გავრცელდება სამედიცინო დაზღვევის ახალი პაკეტი. განსახილველი პროექტის სამუშაო ვარიანტში კი არ ფიგურირებენ სხვა ბენეფიციარები – მარჩენალდაკარგულები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და გაურკვეველია, პენსიებით მათი უზრუნველყოფის მექანიზმები.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისთვის მიუღებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მარჩენალდაკარგულების სამედიცინო დაზღვევის გარეშე დატოვება, განსაკუთრებით იმ სტატისტიკის ფონზე, როცა უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა მზარდია.

„საქართველოს პროფკავშირები იმედოვნებს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს ყველა ამ მოსაზრებას და ქვეყნის მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ნაწილს შესაბამისი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფს“, – ნათქვამია პროფკავშირების განცხადებაში.

ნიუსპრესი

# დღევანდელ პირობებში ადვოკატს სასამართლოს მოგება არ შეუძლია

## რატომ დააპატიმრეს 130 ადვოკატი

გულიკო ბალაძე

ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატთა გადამზადების ცენტრი გაიხსნა და განგრძობადი იურიდიული განათლების პროექტის ამოქმედება დაიწყო, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა პრაქტიკოსი ადვოკატისთვის.

ამ პროექტის ფარგლებში გაიმართა ასევე პირველი ტრენინგი პროფესიული ეთიკის საკითხებზე. ტრენერების ჯგუფი, რომელიც სემინარებს წაიკითხავს, დაკომპლექტებულია ეთიკის კომისიის, განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებით. სემინარების კურსის გავლა სავალდებულოა ადვოკატთა კორპუსის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის თქმით, საქართველოს იურისტთა ასოციაცია გადავიდა განგრძობად იურიდიულ განათლებაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველ წელს ყველა ადვოკატი ვალდებული იქნება გაიაროს სავალდებულო იურიდიული კურსი. „განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმობა ეთიკის საკითხებს იმიტომ, რომ ადვოკატი უნდა იყოს ძალიან ეთიკური“, — განაცხადა მან.

— მთელ მსოფლიოში ადვოკატი არის ყველაზე დიდი პერსონა სამოქალაქო საზოგადოებაში. თუ ჩვენ გვინდა, ადვოკატს ჰქონდეს იგივე დაფასება, იგივე მასშტაბები, როგორიც მსოფლიოსა და ევროპის ნორმალურ ქვეყნებშია, ამისათვის საჭიროა ადვოკატებს ვასწავლოთ ეთიკის კოდექსი, რაც შეიძლება სრულყოფილად, რათა ადვოკატებმა გაითავისონ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ყველაზე პრივილეგირებული ფენა. ადვოკატი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფენაა მთელ მსოფლიოში. საქართველოში ადვოკატთა კორპუსი არის დანგრეული და განადგურებული, რადგან ხელისუფლებაში სააკაშვილის რეჟიმია. როდესაც სააკაშვილის რეჟიმი წავა (ამას. ალბათ, მალე ველირსდებით) ადვოკატი ამ დროისთვის მომზადებული უნდა იყოს. ქვეყანაში არის პროკურატურა, რომელიც დამნაშავე ელემენტებისგანაა დაკომპლექტებული. უდანაშაულო ადამიანებს იჭერენ. ძალიან ბევრი პროკურორი დაჯდება საბრალდებო სკამზე. გვყავს მოსამართლეები, რომლებიც ფეოდალებივით იქცევიან. ასევე გვყავს ადვოკატთა კორპუსი, რომელიც გვინდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ ჩვენ დავიწყეთ ადვოკატებისთვის პირობების შექმნა. ადვოკატი მომზადებული უნდა შეხვდეს სამართლებრივ სახელმწიფოს, — თქვა ზაზა ხატიაშვილმა.

***— ბატონო ზაზა, ადვოკატი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაშიც არ უნდა მონაწილეობდეს?***

— დიახ, ადვოკატი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში უნდა მონაწილეობდეს. მოუმზადებლად ამას ვერ გააკეთებს. მათ ნებისმიერ კრებაზე ვეუბნები, არ შეიძლება ერთმანეთის მიმართ იყვნენ არაეთიკურები. არ შეიძლება ერთი კლიენტი ჯერ ერთ ადვოკატთან მიდიოდეს, ხოლო შემდეგ მეორესთან და ეს მეორე ადვოკატი პირველს არ ურეკავდეს, შენგან კლიენტი რატომ წამოვიდა, შენ თანახმა ხარ თუ არა, რომ ეს კლიენტი დავიცვაო.

***— თუ პირველი ადვოკატი თანახმა არ იქნება, მაშინ ის კლიენტი დაუცველი უნდა დარჩეს?***

— ეთიკური უნდა იყო, შენს კოლეგას უნდა დაურეკო. უნდა გაიგო, იქნებ ადვოკატს ფული არ გადაუხადა და იმიტომ წამოვიდა, ან იქნებ რა ხდება. ზოგჯერ მეორე ადვოკატი კლიენტს ეუბნება, იცი რა, მაგ ადვოკატმა შენ დაგღუპა, მე რომ ვყოფილიყავი, საქმეს მოვიგებდიო. ეს უკვე ადამიანის შეცდომაში შეყვანაა. ის ადვოკატი, რომელიც ამას გააკეთებს, თავის კოლეგა ადვოკატს დაამცირებს კლიენტის თვალში, კლიენტს ეტყვის, წინა ადვოკატმა დაგღუპა, მე ამ საქმეს მოვიგებდი და გაგამართლებდიო, ის ადვოკატი არის მატყუარა.

***— იქნებ მართლა მოიგებდა?***

— ჩვენ ვიცით, რომ არსებული რეჟიმის პირობებში გამორიცხულია ადვოკატმა მოიგოს პროცესი.

***— ხომ შეიძლება, რეალურად მოხდეს ისე, რომ ერთმა ადვოკატმა ვერ შეძლოს კლიენტის დაცვა სათანადოდ, ხოლო მეორე ადვოკატმა, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეძლოს?***

— რეალურად, თუ ადვოკატმა ჩაიდინა დარღვევა, მაშინ ეთიკის კომისიას უნდა მიმართო და დაასაბუთო, რომ ადვოკატმა შენ მოგაყენა ზიანი და ამიტომ წახვედი მისგან. მაგრამ მე ვიცი, ადვოკატები ამას იმიტომ ეუბნებიან, კლიენტის საქმე თვითონ მიიღონ. ამიტომ სხვა ადვოკატს ამცირებენ, რომელსაც არანაირი ბრალი არ მიუძღვის, უკანონო განაჩენი რომ დადგა. საქართველო ცხოვრობს სააკაშვილის რეჟიმის პირობებში. ამ რეჟიმის პირობებში ჰილარი კლინტონი რომ ჩამოიყვანი და იცოდნენ, ჰილარი კლინტონია, არც ერთ შუამდგომლობას არ დაუკმაყოფილებენ. ევროსაბჭოში არსებობს სასამართლო რეფორმის ჯგუფი, რომლის წევრი მეც ვარ იუსტიციის სამინისტროს, უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენლებთან ერთად. როდესაც მე ევროპის საბჭოში გამოვდიოდი ერთი წლის წინ და იქ თქვეს, ყველაზე ძლიერი ადვოკატები ინგლისში არიანო, მე გამეცინა. ევროსაბჭოს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მკითხა, რატომ გაგეცინათ, ასე არ არისო? მე ვუთხარი, ინგლისში იმიტომ არიან კარგი ადვოკატები, რომ იქ არის სასამართლო. ევროსაბჭო გვეუბნება, გაითვალისწინეთ, რომ ინგლისში ადვოკატებს სამსახიობო ხელოვნების კურსებზეც კი ატარებენ, პროცესებზე ადვოკატი რაც შეიძლება ძლიერი რომ იყოსო. მერე მე მოვუყევი მაგალითი, საქართველოში სასამართლო მკვლელობაზე ადამიანს ასამართლებს მაშინ, როცა ეს ადამიანი არის ცოცხალი. არ სჭირდება იმას ადვოკატი. კაცი მოდის სასამართლოში და აცხადებს, რომ ცოცხალია, მაგრამ იმ კაცს მაინც



ზაზა ხატიაშვილი

ასამართლებენ. ინგლისელებს კიდევ ერთი მაგალითი მოვუყევი, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ეტყობა გაიგო, ინგლისში ძლიერი ადვოკატები არიან და დაიქირავეს ლორდი, ყოფილი გენერალური პროკურორი. ის კაცი ჩამოვიდა თბილისში, სასამართლოში ორი შუამდგომლობა დააყენა, მაგრამ დაკმაყოფილებას ვინ მოსთხოვდა, მოსამართლემ არც კი განიხილა ნორმალურად. ამიტომ ინგლისელი ადვოკატი როგორც ჩამოფრინდა, ისე გაფრინდა უკან, თავისი სამსახიობო ხელოვნებაც დაავიწყდა და თავისი ლორდობაცმეთქი. მათ ვუთხარი, ინგლისში ადვოკატი ძლიერი იმიტომ არიან, სასამართლოა. ქართველმა ადვოკატებმა შევძელით, ევროსასამართლოში სახელმწიფოს ყველა პროცესის მოგება. ეს ხომ ადასტურებს, რომ საქართველოს ადვოკატთა კორპუსი ერთი თავით მაღლა დგას იუსტიციის სამინისტროზე, სასამართლოს სისტემასა და პროკურატურაზე. ევროსასამართლოში ბევრ საქმეს ვიგებთ იმის გამო, რომ ეს სისტემა არის მოუწესრიგებელი და ძალიან დაბა;ლი დონის იურისტებით დაკომპლექტებული. ისეთ სისულელეს დაგიწერს მოსამართლე განაჩენში, რომ ადამიანი დამნაშავეა, მაგრამ ვიცი იმ საქმეს ევროსასამართლოში მოვიგებ. ეს არის არაკვალიფიციურობა. ადვოკატთა ასოციაცია კი გადავიდა იმ საფეხურზე, რომ არ გვინდა ჩვენს რიგებში ვინმე იყოს არაკვალიფიციური. ევროპაში ადვოკატი ერთ საათში 500 ევროს იღებს. იქ ნებისმიერი ახალგაზრდა ადვოკატი, ფასი რომ არ დააგდოს, ვალდებულია ეს თანხა აიღოს, მაგრამ კოლეგა ვალდებულია, მას მიეხმაროს, რომ შეცდომა არ დაუშვას. საქართველოში ადვოკატები სერიოზულ სისტემაზე უნდა გადავიდნენ.

***— საქართველოში რამდენს ღებულობენ ადვოკატები ერთ საათში?***

— არ ვიცი. მე ადვოკატებს ვეუბნები, თუ ეს ადვოკატები გახდებიან მობილიზებულები, თუ ისწავლიან კარგად, რეჟიმი რომ შეიცვლება, ადვოკატი ევროკავშირში რასაც იღებს, იმას აიღებს საქართველოში.

***— საქართველოში იმის საშუალება არის, რომ კლიენტმა ადვოკატს იმდენი გადაუხადოს, რასაც ევროპაში უხდიან?***

— არის. თუ საპროცესო შეთანხმებაში ასი ათასობით ლარს თუ დოლარს იხდიან უკანონოდ, იმის 5% ადვოკატს რომ გადაუხადონ, არ შეიძლება? პროკურატურას ხომ უხდიან ფულს? ადვოკატს გადაუხადონ. მინდა, ადვოკატთა კორპუსი მოწესრიგდეს, გაძლიერდეს და ნებისმიერ ადვოკატს დავიცავთ. ახლა საქართველოში არსებული სასამართლოს პირობებში კი რთულია მოიგო ადვოკატმა პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე. როდესაც შენს კოლეგას ამცირებ და კლიენტს ეუბნები, ამ საქმეს მოვიგებდიო, შენ უკვე მატყუარა ხარ, რადგან ყველამ ვიცით, საქართველოს სასამართლო სისტემაში რა ხდება. ადვოკატის ბრალი არ არის, უკანონო განაჩენი რომ გამოდის.

***— როდესაც ევროსაბჭოს კომისიაში საქართველოს სასამართლოსა და იუსტიციის წარმომადგენლები თქვენს განცხადებებს ისმენენ, რას ამბობენ?***

— ისინი ვერაფრს იტყვიან, რადგან მე არ ვარ ამ რეჟიმის ნაწილი. ამიტომ იტანენ.

***— ანუ თქვენს განცხადებებს მდუმარებით ხვდებიან?***

— რა თქმა უნდა. ვერაფერს იტყვიან. იქ მე მტკიცებულებები მიმაქვს.

***— ზოგჯერ ადვოკატები პროცესებსაც ხომ იგებენ? მოგებული საქმეების რაოდენობა, მგონი, რაღაც 3%-ს შეადგენს, არა?***

— არა, 0.1%-ც არ არის. გამორიცხულია, დღეს გამამართლებული განაჩენი გამოიტანო ისეთი, რომელიც პროკურატურას არ აწყობს. ძალიან მცირე რაოდენობის გამამართლებელი განაჩენი გამოდის, რომ სტატისტიკაზე აისახოს. ეს არის იმაზე მცირე, ვიდრე იყო საბჭოთა კავშირში. ევროსაბჭოში მიმაქვს მტკიცებულებები, რომ 130 ადვოკატი გაასამართლა „დემოკრატიის შუქურამ“, როცა ლუკაშენკოს, „დემოკრატიის მტერს“, 3 ადვოკატი უზის ციხეში. როცა ჩვენი ევროპელი მეგობრები ლაპარაკონ, ცუდი იყო ბერია, ეჟოვი, იაგოდა, ბრეჟნევი და ანდროპოვიო, მე ვეუბნები, ეს ცუდია, მაგრამ იმ ცუდმა ხალხმა, ყველამ ერთად, 73 წელიწადში 70-მდე ადვოკატი გაასამართლა, მაგრამ დემოკრატიის შუქურამ 7 წელში 139 ადვოკატი გაასამართლა. ეს არის ფაქტები. ასოციაციის თავმჯდომარედ არჩევიდან 6 თვის განმავლობაში ევროპაში არავისთვის მიმიწერია. მე ვიცი ევროპის სასამართლოს ენა, რომელიც გეუბნება, შიდა რესურსი ამოწურე და ისე მომმართეო. მე ვეუბნებოდი ამ ხელისუფლებას, გამოეძია კონკრეტული ფაქტები, თორემ ევროპულ სტრუქტურებს მივმართავდი. როცა არ გამოიძიეს, სექტემბერში მივმართე ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭოს, ევროკავშირის პრეზიდენტს, დიდი რვიანის ქვეყნებს. მე, კაცმა, რომელმაც საქართველოს ისტორიაში მოვიგე პირველი საქმე ევროსასამართლოში, სააკაშვილი ხომ არ მასწავლის, სად უნდა დავწერო.

# რატომ აქვთ რესპუბლიკელებს ამხელა გავლენა

ნინო მეტრეველი

კოალიცია „ქართული ოცნება“ შეიქმნა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა პარტნიორებმა ყველა სახის პოლიტიკური გემოვნების ამომრჩეველი უნდა დააკმაყოფილონ. ვისაც ისევ ზვიადის ხელისუფლებისადმი აქვს სიმპათია, მათთვის კოალიციაში ზვიად ძიძიგურია; ვისაც ტრადიციებისა და ისტორიული საქართველოსთვის უძგერს გული, ისინი ეროვნულმა ფორუმმა უნდა მოხიბლოს; გაჭირვებულებისა და სოციალურად დაუცველებისთვის, ანუ მემარცხენე ფრონტზე კობა დავითაშვილია, მაგრამ სამივე პოლიტიკური ძალა მაინც პოლიტიკური დანამატებია მრავალფეროვნებისთვის. ძირითადი პარტნიორები ივანიშვილის მიერ თავიდანვე დასახელებული რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანია არიან. დანარჩენები ამ სამმა ერთად შეარჩია, უფრო ზუსტად, ოპოზიციური სპექტრი დედალ-მამლებად გადაარჩია. რამდენად სწორი იყო ეს გადარჩევა და საერთოდ უნდა დაეყო თუ არა ოპოზიციური სპექტრი, ამას კარსმომდგარი არჩევნები გვიჩვენებს. ისიც ახლო მომავალში გამოჩნდება, კმაყოფილია თუ არა ამომრჩეველი მილიარდერის არჩევანით.

ბიძინა ივანიშვილის კრიტიკის ძირითადი მიზეზი დღემდე მისი პარტნიორები, მეტწილად კი რესპუბლიკური პარტიაა. რა პრინციპით შეარჩია მილიარდერმა ძირითად პარტნიორებად პროამერიკული ძალები, რომლებიც მათი იდეოლოგიის გამო მაინდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ, არაერთი განმარტების მიუხედავად, ბოლომდე მაინც გაურკვეველია. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყველაზე უძველესი პარტიის, რესპუბლიკელების პოლიტიკური გამოცდილება და თანმიმდევრობა რომ პოპულარული ყოფილიყო საქართველოში, თავის დროზე სააკაშვილთან ალიანსიც არ დასჭირდებოდათ პარლამენტში რამდენიმე ადგილის მოსაპოვებლად.

თავად ბიძინა ივანიშვილი საკუთარი პოლიტიკური არჩევანით ძვლებურად კმაყოფილია და უამრავი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებების მიუხედავად, მათთან გაყრას არ აპირებს, პირიქით, ყველგან რესპუბლიკელების გარემოცვის თანხლებით ჩნდება. მოარულ ხმებს ნარიყალას კარზე რესპუბლიკელების და კონკრეტულად, თინა ხიდაშელის გაპირველკაცებაზე თვითონ ივანიშვილიც უარყოფს და რესპუბლიკელებიც, მაგრამ მათი გავლენა გამადიდებელი შუშის გარეშეც შესამჩნევია. ივანიშვილის გამოჩენის პირველივე დღეს განაცხადეს ბერძენიშვილების პარტიაში, რომ მათ გარეშე „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა. კი ამბობს ივანიშვილი, ყველას ვუსმენ და გადაწყვეტილებას მაინც მე ვიღებო, მაგრამ არცთუ იშვიათად უწევს საკუთარი სიტყვების უკან წაღება. ასე იყო ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში, როცა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი სავარაუდო პარტნიორად დაასახელა და მერე პარტნიორების გავლენით გადათქვა. ბურჯანაძეს ალასანიასთან დაპირისპირების გამო მიეხურა ნარიყალას კარი, მურმან დუმბაძეს— ყოფილ თანაპარტიელებთან, რესპუბლიკელებთან უთანხმოების გამო. ეროვნულ ფორუმთან კონსულტაციების გაჭიანურებაც ალასანია-რესპუბლიკელებს ბრალდებათ.

რატომ ითვალისწინებს და სერიოზულ ანგარიშს უწევს პოპულარული ივანიშვილი არცთუ მაღალი რეიტინგის მქონე პარტიებს, რომლებიც მომავალ პარლამენტში მის ზურგზე ახოხებულები უნდა შევიდნენ და სხვა შემთხვევაში ამას ვერნაირად ვერ შეძლებდნენ? მით უმეტეს, რომ მათთან გამიჯვნა მისთვის არანაირად არ იქნება ამომრჩევლის თვალსაზრისით წამგებიანი. პირიქით, ვინც მასთან მისვლისგან თავს ლიბერალების გამო იკავებს, ისინიც მისი გულშემატკივრები გახდებოდნენ?

„ქართული ოცნების პრესსპიკერის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ბიზნესმენი პოლიტიკაში შემოსვლამდე ოთხი თვით ადრე ხვდებოდა პოლიტიკურ ძალებს პარტნიორების შესარჩევად, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, შეიძლება კითხვა სხვანაირადაც დაისვას: ივანიშვილმა შეარჩია პარტნიორები, პარტნიორებმა ივანიშვილი თუ ვიღაცის ჩარევით იპოვეს ერთმანეთი?

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოში ამერიკელების მოყვანილ ხელისუფალს ძალიან გაუჭირდა. გააქტიურდა რადიკალური ოპოზიცია ქუჩის აქციებისკენ მოწოდებებით და ხელისუფლების „მშვიდობიანად გაშვებაზე“ განცხადებებით. გაჩნდა ხელისუფლების ქუჩიდან შეცვლის საშიშროება. სცენარის ასე განვითარება რეგიონში დასაყრდენ ერთადერთ პლაცდარმზე, ამერიკელების რევოლუციური პროექტის ბოლომდე დამარხვა იქნებოდა, თან კაცმა არ იცოდა, ასეთი გზით ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში და დარჩებოდა თუ არა ამერიკული ინტერესები ხელშეუხებელი. მანამდე იყო 2007 წლის ნოემბრის აქციების და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამოცდილება, როცა ქართველმა ხალხმა არჩევანი ამერიკისთვის ფრიად გაურკვეველ პოლიტიკოსზე, ლევან გაჩეჩილაძეზე გააკეთა. გაერთიანებულმა ოპოზიციამაც კენჭისყრისას არა პოლიტიკურად ჩამოყალიბებულ დავით უსუფაშვილს დაუჭირა მხარი მათ საპრეზიდენტო კანდიდატად, არამედ გაჩეჩილაძეს.

როგორც ჩანს, გეოპოლიტიკური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პარტნიორებმა ოკეანისგაღმა დაიწყეს ზრუნვა ქართულ ოპოზიციაში მემარჯვენე, პროამერიკული ძალების გაძლიერებაზე, მაგრამ მათი დაბალი რეიტინგის გამო, გამოსავალი მხოლოდ გაერთიანება იყო, თან დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, რაც ერთობ არ აწყობს ჩვენს პარტნიორს, ერთადერთი ლოზუნგის ქვეშ — ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ არჩევნებით უნდა შეიცვალოს.

პირველი ასეთი ერთობა იყო ადგილობრივი არჩევნების წინ ახალი მემარჯვენეების, რესპუბლიკელების, „საქართველოს გზის“ და თავისუფალი დემოკრატების ალიანსი ირაკლი ალასანიას ლიდერობით. ალასანია ჯერ კიდევ გაეროში იყო, რესპუბლიკელებმა და ახლებმა მისი დაპიარება და საზოგადოებისთვის გაცნობა რომ დაიწყეს, როგორც საუკეთესო თვისებების ოპოზიციური ლიდერის. „ახალი თაობის“ ინფორმაციით, მათ იქით შესთავაზეს ალასანიას ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში სასათბურე პირობები, რომ აქცევდნენ ერთიანი ოპოზიციის ლიდერად. გამყრელიძემ და უსუფაშვილმა უკანა პლანზე გადაიწიეს და ალასანია საკუთარ ლიდერად და საპრეზიდენტო კანდიდატადაც კი გამოაცხადეს. იგეგმებოდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, გამყრელიძე მზად იყო პარტიაც კი გაეუქმებინა. გამოცხვა ლოზუნგი, რომ „ალიანსი საქართველოსთვის“ არჩევნებით ყველა შემთხვევაში შეძლებდა ხელისუფლების დამარცხებას, მთელი ძალისხმევა აქეთ უნდა მიმართულიყო და ქუჩის აქციები ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმად გამოცხადდა. ყოფილი ელჩი გაეროში მაშინვე შეირაცხა ამერიკის სასურველ კანდიდატურად, მიხეილ სააკაშვილის შემცვლელად თუ მემკვიდრედ, მაგრამ თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა პარტნიორების იმედები ვერ გაამართლა და პროამერიკული ერთობა არჩევნების შემდეგ ხუხულასავით ჩამოიშალა.

ამის შემდეგ ისევ გააქტიურდა ქუჩა, მოხდა 26 მაისი და ისევ იმატა ხალხში მღელვარების მუხტმა. პარალელურად კონსტრუქციულად წოდებულმა ახალმა ერთობამ „რვიანის“ სახით ისევ არჩევნებზე გადაიტანა აქცენტი და გამოაცხადა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის უსარგებლო ბრძოლა, რაც დროის გაყვანა და ქუჩის აქციების ჩახშობის მცდელობა უფრო იყო, ცაში ჩამოკიდული რვიანის ერთობის და არჩევნებით გამარჯვების იმედით. ამ დასავლური პროექტის ჩაშლაც საბოლოოდ ალასანიას დაბრალდა.

# რუსთაველის თეატრის უხუცესი მსახიობი გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

**შოთა რუსთაველის თეატრის უხუცესი მსახიობი ეკატერინე ვაჩნაძე 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ერთადერთი მსახიობი გახლდათ, რომელიც რუსთაველის თეატრის უხუცესი დასიდან ცოცხალი იყო. მსახიობს გამორჩეულად უყვარდა თავისი მფარველი წმინდანის წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ხსენების დღე, ამიტომ 7 დეკემბერსაც განსაკუთრებულად აღნიშნავდა.**



ჟურნალისტებთან საუბარში რუსთაველის თეატრის უხუცესი მსახიობი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა იმ წლებს, როცა სცენაზე ქართული თეატრის ნამდვილი ვარსკვლავები იდგნენ და სწორედ მათ გვერდით უწევდა წლების განმავლობაში ყველასთვის საყვარელ რუსთაველის თეატრში მუშაობა. ეკატერინე ვაჩნაძემ თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეაღო თუ არა რუსთაველის თეატრის კარი, მისი პირველი სპექტაკლი დიმიტრი ალექსიძის „პირველი ნაბიჯი" იყო. მან რუსთაველის თეატრის სცენაზე 60-მდე როლი ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ეპიზოდური იყო, მათზე უარი არასოდეს უთქვამს. „სირანო დე ბერჟერაკი" (ლიზა), „ადამიანებო, იყავით ფხიზლად" (მარიანა), „ღალატი" (მაკო), „უდანაშაულო დამნაშავე" (გალჩიხა), „შემოდგომის აზნაურები" (კაროჟნა), „ამბავი სიყვარულისა" (კოკონა), „საქმიანი კაცი" (პეპელა), „პეპო" (ფეფელა), „ფიროსმანი" (სონა) – ეს იმ სპექტაკლების მცირე ჩამონათვალია, რომლებშიც 92 წლის მსახიობმა ითამაშა და მაყურებელს თავისი პერსონაჟებით თავი განსაკუთრებულად დაამახსოვრა. ცნობილი ქართველი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ეკატერინე ვაჩნაძის ბებია იყო. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა ეკატერინე ვაჩნაძემაც ბებიის გზა აირჩია. მან ცხოვრება ასევე მსახიობ მერაბ გეგეჭკორს დაუკავშირა და მის ოჯახში უკვე წლებია მხოლოდ მსახიობები და ხელოვანები ტრიალებენ. ეკატერინე ვაჩნაძე ცნობილი ავტორ-იუმორისტის, გურამ გეგეჭკორის დედაა.

– იცით სიზმარში რას ვხედავ? ფარდა მესიზმრება და კიდევ, სცენაზე გასვლის ზარი მაღვიძებს. რაც უნდა ცუდად ვიყო, საღამოს რვა საათიდან თორმეტის ნახევრამდე მაინც ამაღლებული განწყობა მეუფლება. ეს ხომ სცენაზე დასახარჯი დროა, – ამბობდა უხუცესი მსახიობი.

სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, ნათელა მახალდიანი, ნელი ქუთათელაძე, მიხეილ გიჟიმყრელი, დავით ქუთათელაძე და ეკატერინე ვაჩნაძე თეატრალურ უნივერსიტეტში ერთად ჩაირიცხნენ. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ხორავა იყო. მსახიობს მურაბის ქილაში დამხრჩვალი თაგვის პოვნის ეტიუდი მისცეს და როდესაც გოგონამ თაგვი ჟიურის წევრებს ესროლა, ჟიურის წევრებმა მექანიკურად თაგვს მაგიდაზე დაუწყეს ძებნა.

– ულმობელად გაფრინდნენ წლები. თვალის გავლებაც ვერ მოვასწარი წარსულს. გაფრინდნენ და წაიყოლეს ადამიანები, ვისთან ერთადაც ვიცხოვრე და ვიღვაწე ქართული თეატრალური ხელოვნების ასაღორძინებლად და ვისთან ერთადაც ერთი პატარა აგური შევმატე ჩვენი ეროვნული კულტურის კედლის ფუნდამენტს. ყოველივეს კი – ვიხსენებ ჩვენი სათაყვანებელი მომავალი თაობის მოსასმენად – ზნეობისა და სიყვარულის მაგალითისათვის, – ასე იხსენებდა განვლილ ცხოვრებას ეკატერინე ვაჩნაძე.

მისი კოლეგა და მსახიობი ჯემალ ღაღანიძე ეკატერინე ვაჩნაძეს ასე იხსენებდა:

– ერთხელ, მოსწავლეობისას ჩემმა მეზობელმა რუსთაველის თეატრში დილის სპექტაკლზე დამპატიჟა. იმ კარიდან შევედით, საიდანაც მსახიობები შედიოდნენ. ამ დროს დავინახე, კიბეზე ამოდიოდა ულამაზესი ახალგაზრდა ქალი ჩითის კაბით და გრძელი ნაწნავებით. ეს იყო ეკატერინე ვაჩნაძე, მას ხელი ჩამოვართვი და ის იყო პირველი მსახიობი ჩემს ცხოვრებაში, ვინც უშუალოდ გავიცანი. როცა მიხეილ თუმანიშვილმა მე და ზინა კვერენჩხილაძე რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ფილოსოფიის დოქტორში" დაგვაკავა, იცით ვინ თამაშობდა ამ სპექტაკლში? ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, მედეა ჩახავა, და ეკატერინე ვაჩნაძე. ათი წლის შემდეგ ამ მსახიობს მეორედ შევხვდი, უკვე როგორც პარტნიორსა და მომავალ მეგობარს. ჩვენ ბევრ სპექტაკლში ვითამაშეთ ერთად. თეატრში დიდი ტრადიცია იყო – იქმნებოდა საკონცერტო ბრიგადები და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მსახიობები დადიოდნენ გასტროლებზე. ჩვენს ბრიგადაში იყო ეკატერინე ვაჩნაძეც. ამ საკონცერტო ვოიაჟებმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა და მსახიობები უკვე ოჯახებით ვმეგობრობდით. ეკატერინე ვაჩნაძე უნიჭიერესი მსახიობია, ამასთანავე გენიალური ქალაქური კოლორიტია. სხვანაირად არც შეიძლება – მისი აღმზრდელი ხომ დიდი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი იყო. ეს მშვენიერი ტრადიციები ეკატერინეს ოჯახში დღემდე გრძელდება. მისი შვილიშვილები ბრწყინვალე მსახიობები არიან. ეს ნიჭი და თეატრის დიდი სიყვარული, მჯერა, არასოდეს ჩაქრება ამ მშვენიერ და ჭეშმარიტად ქართულ ოჯახში.

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ეკატერინე ვაჩნაძეს კი ასე ახასიათებს:

– ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებზე დავიწყე სიარული. ეკატერინე ვაჩნაძის კურსს გიორგი ტოვსტონოგოვი ხელმძღვანელობდა. იგი შემდგომში მეც მასწავლიდა და ხშირად ახსენებდა ვაჩნაძეს, როგორც ნიჭიერ და სახასიათო მსახიობს. რუსთაველის თეატრში ჩემი მეგობრის ოთარ მამფორიას პიესის „მეტეხის ჩრდილში" დასადგმელად მიმიწვიეს. პიესაში შესანიშნავი სახეები იყო და მეც ბრწყინვალე მსახიობებზე გავანაწილე როლები – სერგო ზაქარიაძე, იპოლიტე ხვიჩია, ჯემალ ღაღანიძე, მანველ აფხაიძე და სხვები. მსახიობთა შორის გამოირჩეოდა სერგო ზაქარიაძის გმირის (ძია შაქროს) ცოლის ვარას შესრულებით ეკატერინე ვაჩნაძე. ის ქართულ თეატრში დიდებული მსახიობის ელისაბედ ჩერქეზიშვილის ტრადიციის გამგრძელებელი იყო. ის ისეთი მართალი და დამაჯერებელი იყო ყველა როლში, რომ მაყურებელში აღტაცებას იწვევდა. მან, როგორც პიროვნებამ და მსახიობმა, თავისი ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა.

# ეროვნულ არქივში დაცული კინომუსიკა ციფრულ მატარებელზეა

ეკა ირემაშვილი

იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში მხატვრული ფილმების მუსიკის ფონოჩანაწერების მაგნიტური ფირებიდან ციფრულ მატარებელზე გადატანის პროცესი მიმდინარეობს, რაც ამ უნიკალურ ფონოჩანაწერებს საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

– კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცულია ქართული მხატვრული ფილმების მუსიკა, რომელიც ორკესტრის მიერ არის შესრულებული და კინომუსიკის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენს. კოლექციაშია გასული საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი ფილმების მუსიკალური ნაწარმოებები. უძველესი ჩანაწერებია ერთ-ერთი პირველი ხმოვანი ფილმების – „უკანასკნელი მასკარადი" და „არსენა" მუსიკა, რომლის ავტორია გრიგოლ კილაძე, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

ფონოარქივში დაცულია მუსიკა 200-მდე მხატვრული ფილმისა, მათ შორის „ვერის უბნის მელოდიები" (კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე), „მოიტაცეს თამარ ქალი" (კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე ), „არაჩვეულებრივი გამოფენა" (კომპოზიტორი გია ყანჩელი), „შერეკილები" (კომპოზიტორი გია ყანჩელი), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე), „სხვისი შვილები" (კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე), „ყვავილი თოვლზე" (კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე), „გლახის ნაამბობი" (კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე), „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" (კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე), „აბეზარა" (კომპოზიტორი სულხან ცინცაძე), „თოჯინები იცინიან" (კომპოზიტორი სულხან ცინცაძე) და სხვა კინოფილმები.

– ეს ჩანაწერები წლების განმავლობაში თავს იყრიდა ეროვნული არქივის ფონო საცავებში. კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში მიმდინარეობს ამ აუდიო დოკუმენტების გაციფრულების პროცესი, რაც მოიცავს ძველი სტანდარტის მაგნიტური ფირებიდან თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებზე გადაწერას. იქმნება ციფრული სადაზღვევო და გამოყენების ფონდები, რაც თავისთავად ამარტივებს ამ დოკუმენტებზე წვდომას. მკვლევარს მოკლე დროში შეუძლია მისთვის საინტერესო მასალის მოსმენა და შემდეგ მისი ასლის მიღება ისე, რომ არ შეეხოს ორიგინალ-დედან ჩანაწერებს, – ამბობს თეა ქიმერიძე.

აუდიო დოკუმენტების გაციფრულების პარალელურად ეროვნულ არქივში იქმნება ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, სადაც შედის ის დეტალური ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ ჩანაწერთან. უახლოეს მომავალში ეს ინფორმაცია განთავსდება არქივის ვებგვერდზე და დაინ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 592-49-85-55.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში". გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტოპანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ვკერავთ თეთრეულს, ფარდებს, გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს, ყველაფერს ოჯახისა და ოფისებისათვის. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) )!) $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# ზაზა ფაჩულიას 8 ქულა და 7 მოხსნა ჩიკაგოში



ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქსმა“ ჩიკაგოში „ბულსთან“ 79:90 წააგო. მეორე მეოთხედში მასპინძელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა, თუმცა, ატლანტელები არ დანებდნენ და მატჩის მოგების შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ. ბოლო მეოთხედში „ქორებმა“ ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს, თუმცა, მეტის გაკეთება ველარ შეძლეს და საბოლოოდ დამარცხდნენ.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო. ქართველმა ცენტრმა მოედანზე 37 წუთი გაატარა, რომლის განმავლობაშიც 8 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მოაგროვა. ზაზამ 5-დან 2 ორქულიანი და 8-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ატლანტელთაგან საუკეთესო კვლავ ჯოშ სმიტი იყო, რომელმაც 17 ქულა, 12 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. მატჩის გმირი დერიკ როუზი გახდა, რომელმაც ჩიკაგოელებს 23 ქულით უწინამძღოლა.

ჩიკაგოში წაგების შემდეგ „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე ჩამოქვეითდა. „ქორების“ აქტივში 19 მოგება და 13 მარცხია. ფაჩულიას გუნდი გასვლით ტურნეს 23 თებერვალს ნიუ იორკში დაასრულებს, სადაც ჩინელ გენიოს ჯერემი ლინით მომძლავრებულ „ნიუ იორკს“ დაუპირისპირდება.

# ლუის ენრიკეს ბარსელონას უწინასწარმეტყველებენ



„რომას“ თავკაცი ლუის ენრიკე შესაძლოა მიმდინარე სეზონის ბოლოს კატალონიაში დაბრუნდეს და „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი გახდეს.

ესპანური პრესა უკვე დიდი ხანია წერს, რომ გვარდიოლა ზაფხულში დატოვებს „ბლაუგრანას“და ამ თანამდებობაზე დანიშვნის მთავარ პრეტენდენტად სწორედ ლუის ენრიკეს მიიჩნევენ.

ენრიკესთვის „ბარსელონა“ უცხო არ არის – კატალონიურ კლუბში ფეხბურთელის რანგში 8 წელი გაატარა და კიდევ ორი წელი კლუბის მეორე გუნდს ედგა სათავეში.

ასევე ამბობენ, რომ „რომასთან“ ლუის ენრიკეს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ბარსელონას“ სპეციალისტის უსასყიდლოდ დაბრუნება შეუძლია.

ერთადერთი, ვინც საპირისპიროს ფიქრობს, ამ ეტაპზე მხოლოდ „ბარსელონას“ ნახევარმცველი და კაპიტანი ხავია. ის დარწმუნებულია, რომ ხოსეპ გვარდიოლა ესპანურ გრანდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

– მწვრთნელის პერსონა ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გვარდიოლასთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა, მით უმეტეს, რომ მასთან ერთად გუნდმა უამრავი ტიტული მოიგო. ამიტომ მოუთმენლად ველით, როდის გაახანგრძლივებს პეპი „ბარსელონასთან“ კონტრაქტს. დარწმუნებული ვარ, გვარდიოლა ამას გააკეთებს. რაც შეეხება ჩემს ჯანმრთელობას, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ყველა პრობლემა წარსულში დარჩა, რაც „ვალენსიასთან“ გამართულმა მატჩმაც დაადასტურა, – განაცხადა ხავიმ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სარაგოსა-ბეტისი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 20 | 1 | 2 | 79:21 | 61 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 68:17 | 51 |
| 3.ვალენსია | 23 | 11 | 7 | 5 | 36:27 | 40 |
| 4.ბილბაო | 23 | 8 | 9 | 6 | 37:30 | 33 |
| 5.ესპანიოლი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:27 | 33 |
| 6.ლევანტე | 23 | 9 | 5 | 9 | 32:34 | 32 |
| 7.ატლეტიკო | 23 | 8 | 8 | 7 | 32:28 | 32 |
| 8.რაიო | 23 | 9 | 4 | 10 | 32:35 | 31 |
| 9.ოსასუნა | 23 | 7 | 10 | 6 | 26:37 | 31 |
| 10.მალაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 27:33 | 31 |
| 11.სევილია | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | 29 |
| 12.ბეტისი | 23 | 9 | 2 | 12 | 27:31 | 29 |
| 13.მალიორკა | 23 | 7 | 7 | 9 | 23:28 | 28 |
| 14.ხეტაფე | 23 | 7 | 7 | 9 | 22:30 | 28 |
| 15.სოსიედადი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:34 | 27 |
| 16.ვილიარეალი | 23 | 6 | 8 | 9 | 23:34 | 26 |
| 17.გრანადა | 22 | 7 | 4 | 11 | 19:31 | 25 |
| 18.რასინგი | 23 | 4 | 11 | 8 | 18:30 | 23 |
| 19.ხიხონი | 23 | 5 | 5 | 13 | 21:44 | 20 |
| 20.სარაგოსა | 23 | 3 | 6 | 14 | 18:40 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ტორინო-სამპდორია .................... 2:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აუე-ბრაუნშვაიგი ........................ 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-მეცი ................................ 0:0

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ემენი-დენ ბოსხი .......................... 1:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

გიმარაეში-ბენფიკა ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 19 | 15 | 3 | 1 | 47:16 | 48 |
| 2.პორტუ | 19 | 14 | 4 | 1 | 45:13 | 46 |
| 3.ბრაგა | 19 | 13 | 4 | 2 | 38:16 | 43 |
| 4.სპორტინგი | 19 | 10 | 5 | 4 | 30:16 | 35 |
| 5.მარიტიმუ | 19 | 10 | 5 | 4 | 29:22 | 35 |
| 6.გიმარაეში | 19 | 8 | 2 | 8 | 25:19 | 29 |
| 7.ოლჰანენსე | 19 | 5 | 7 | 7 | 21:25 | 22 |
| 8.ნასიონალი | 19 | 6 | 4 | 9 | 21:32 | 22 |
| 9.ჟილ ვისენტე | 19 | 5 | 7 | 7 | 19:30 | 22 |
| 10.აკადემიკა | 19 | 5 | 5 | 9 | 19:26 | 20 |
| 11.რიუ ავე | 19 | 5 | 3 | 11 | 17:26 | 18 |
| 12.ფერეირა | 19 | 5 | 3 | 11 | 23:37 | 18 |
| 13.ბეირა მარი | 19 | 4 | 5 | 10 | 14:17 | 17 |
| 14.ფეირენსე | 19 | 3 | 7 | 9 | 14:28 | 15 |
| 15.ლეირია | 19 | 4 | 3 | 12 | 18:37 | 15 |
| 16.სეტუბალი | 18 | 3 | 5 | 10 | 14:32 | 14 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ისთანბული ....................... 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სიგმა-ბუდეოვიცე ........................ 0:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ტიგრე-სანმარტინი ...................... 3:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ჩიკაგო-ატლანტა ........................ 90:79

ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 7 მოხსნა

ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი ............ 92:100

დალასი-ბოსტონი ...................... 89:73

მილუოკი-ორლანდო ................. 90:93

ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი ....... 101:93

ჰიუსტონი-მემფისი .................. 97:93

დენვერი-მინესოტა ........ 103:101(ოტ)

ფინიქსი-ვაშინგტონი ............. 104:88

იუტა-სან ანტონიო ................102:106

გოლდენ სტეიტი-კლიპერსი .. 104:97

ლეიკერსი-პორტლენდი ......... 103:92

### წყალბურთი

**მსოფლიო ლიგა**

**ქალები**

აშშ-კანადა ............................... 13:11

### ჩოგბურთი

**ატპ. ბუენოს აირესი. თიხა**

გონსალესი-მონტანესი ........... 7:5;6:0

მაიერი-ბაგნისი ................. 7:5;4:6;2:6

ნიშიკორი-ფერერო ........... 7:5;3:6;6:2

ვავრინკა-სებალოსი .............. 6:3;6:4

**ატპ. მარსელი. ჰარდი**

ჟუანი-ოლივეტი ................ 4:6;6:3;6:7

იტო-ჩიუდინელი ..................... 2:6;6:7

გოფინი-ჰენრიხი ..................... 7:6;6:3

ბაუტისტა-დე ვუსტი ............. 6:4;6:4

ლუბიჩიჩი-სერა ................ 6:4;6:7;6:3

ნიემინენი-როჯერ ვასელინი .. 2:6;6:7

სეპი-ჩიპოლა ......................... 4:6;6:7

**ვტა. დუბაი. ჰარდი**

ჰერცოგი-ვოზნიაკი ........... 7:6;6:7;3:6

პენეტა-მედინა გარიგესი ....... 6:3;6:3

კუზნეცოვა-გერგესი ........ 6:2;6:7;4:6

იანკოვიჩი-ცეტკოვსკა ........... 6:2;6:2

ციბულკოვა-ბენეშოვა ........... 1:6;0:6

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

აილენდერსი-ოტავა .................... 6:0

კაროლინა-ვაშინგტონი .............. 5:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სანაძეს მწვადი მოსწონს, ოულიჩს — ხაჭაპური

**საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში მიმდინარე სეზონში ლეგიონერების სიმრავლეა. ერთ-ერთი მათგანი სერბი მილან ოულიჩია, რომელიც „დინამოს“ ღირსებას იცავს. სწორედ მასთან და კიდევ ერთ დინამოელთან, ყოფილი კალათბურთელის გია სანაძის ვაჟთან, დუდასთან ინტერვიუ სუპერლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**



***– მილან, მოკლედ გვიამბეთ თქვენ შესახებ.***

**მილან ოულიჩი:** დიდი ოჯახი მყავს, მშობლები, ძმა და მისი 3 შვილი. დაოჯახებული ჯერჯერობით არ ვარ. კალათბურთს ბავშვობიდან ვთამაშობ. პირველად ხელში კალათბურთის ბურთი რომ ავიღე, აღარც გამიშვია და მას შემდეგ სულ ვთამაშობ. სპორტის ეს სახეობა ძალიან პოპულარულია სერბეთში, სადაც ყველა უბანში შეხვდებით კალათბურთის მოედანს. ჩვენს ქვეყანაში კალათბურთი უპირველესი სპორტია და, ალბათ, ამანაც დიდი გავლენა იქონია ჩემზე.

***– რამ განაპირობა თქვენი საქართველოში ჩამოსვლა და აქ ასპარეზობა?***

– საქართველოში ჩამოსვლა ჩემს აგენტთან და ალექსანდრე ზესევიჩთან ერთად გადავწყვიტე, რომელიც ახლა ჩემი თანაგუნდელია. მათთან საუბრის შემდეგ ჩავთვალე, რომ საქართველოში კალათბურთი აღმავლობის გზაზეა. ქართველი მოთამაშეები ევროპაში წარმატებულად ასპარეზობენ, თქვენმა ნაკრებმა კი ჩინებული შედეგი აჩვენა ევროპის ჩემპიონატზე. ვიფიქრე, რომ სუპერლიგაში ასპარეზობით საკუთარ თამაშს კიდევ უფრო დავხვეწდი და გამოცდილებასაც მივიღებდი. იმედია, ჩემი აქ ყოფნით ჩემს გუნდსაც მოვუტან სარგებლობას.

***– აქამდე საქართველოზე რამე გსმენოდათ?***

– ვიცოდი, რომ ქართველებსა და სერბებს ბევრი საერთო ჰქონდათ, რაშიც აქ ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. მეტ-ნაკლებად თქვენი ისტორიაც ვიცი და ისიც, რომ რუსეთთან პრობლემები გქონდათ. რა თქმა უნდა, ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სერბი მწვრთნელი ჰყავს – იგორ კოკოშკოვი.

***– ახლა რა აზრის ხართ ჩვენს ქვეყანაზე?***

– ძალიან მომწონს აქ ყოფნა. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ჩემ გარშემო კეთილი და ყურადღებიანი ხალხია.

***– ზოგადად როგორ შეაფასებთ სუპერლიგის წლევანდელ სეზონს და რას იტყვით მეორე წრეზე?***

**დუდა სანაძე:** წლევანდელი სუპერლიგა შარშანდელს დონით ბევრად აღემატება, რაც ლეგიონერების მომრავლებამ განაპირობა. ჩვენს გუნდში სამი ლეგიონერი ირიცხება. მეორე წრე გაძლიერებული შემადგენლობით დავიწყეთ და ვფიქრობთ, რომ ყველა გუნდს ღირსეულ და დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ.

**მილან ოულიჩი:** საქართველოში ბევრი კარგი კლუბია. გათამაშების 1-ლ და მე-2 ადგილზე მყოფი გუნდები საკმაოდ ძლიერები არიან. ბევრი უცხოელი მოთამაშეა ჩამოსული საქართველოში სათამაშოდ, დონე დღითიდღე იზრდება, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ბევრი რამაა დასახვეწი. სუპერლიგაში როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონის ბევრი კარგი კალათბურთელი იზრდება.

***– როგორ შეაფასებთ თქვენს ასპარეზობას მიმდინარე სეზონში, გაკმაყოფილებთ თქვენი თამაში?***

**მილან ოულიჩი:** ჯერჯერობით სასურველ დონეზე ვერ ვთამაშობ, თუმცა, ბევრს ვმუშაობ და, დარწმუნებული ვარ, მალე მივაღწევ იმ შედეგს, რომელიც მინდა.

***– დუდა, „დინამოში“ თამაში რატომ გადაწყვიტეთ?***

– „დინამო“ ავტორიტეტული კლუბია და დიდი სახელია ამ გუნდში თამაში. რაც არ უნდა სუსტი გუნდი იყოს, ამ კლუბში თამაში მხოლოდ სახელისთვის ღირს და ყველა სხვა გუნდს ვამჯობინებ.

**მილან ოულიჩი:** მსმენია საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შესახებ და ვიცი, რომ ზოგადად „დინამოს“ კლუბს დიდი ისტორია აქვს. ამჟამად ჩვენს გუნდს ძალიან ძლიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშეები ჰყავს. ვფიქრობ, დიდი პოტენციალი გაგვაჩნია და შევძლებთ წარმატების მიღწევას. სუპერლიგის გათამაშების მეორე წრეში ჩვენ სერიოზული სიურპრიზი გავხდებით ყველასთვის.

***– რა არის „დინამოს“ მიზანი მიმდინარე ჩემპიონატში?***

**დუდა სანაძე:** მიმდინარე ჩემპიონატში კონკრეტული მიზანი არ გვაქვს. მთავარია, მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინოთ თავი. სასურველია ოთხეულში შესვლა. მომავალი სეზონისთვის „დინამო“ ძალიან სერიოზულ და კონკურენტუნარიან კლუბად ჩამოყალიბდება.

**მილან ოულიჩი:** ჩემი პირადი მიზანია, კარგი თამაში ვაჩვენო და გუნდს სარგებლობა მოვუტანო. ვფიქრობ, „დინამოს“ აქვს იმის შანსი, რომ ნახევარფინალში ითამაშოს.

***– კონკურენტად ვის მიიჩნევთ?***

**დუდა სანაძე:** ,,არმიის“ გარდა, სუპერლიგაში მონაწილე ყველა გუნდი ჩვენი კონკურენტია, რომლებთანაც მოგების დიდი შანსი გვაქვს.

**მილან ოულიჩი:** ზუსტად ვერ გეტყვით, ყველას თამაში არ მინახავს და რთულია რამის თქმა. ამ ეტაპზე ძლიერ მეტოქეებად „სოხუმსა“ და „ქუთაისს“ დავასახელებდი.

***– დუდა, რას იტყვით თქვენს თანაგუნდელ ლეგიონერებზე... როგორ შეაფასებდით მათ?***

– ლეგიონერებში ძალიან გაგვიმართლა. დავიწყებ ამერიკელი ქიენ კარტერით, რომელიც ყველა თამაშზე გამოირჩევა თავისი სოლიდური მონაგარით და ვთვლი, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა სუპერლიგაში. ძალიან გვეხმარება ოულიჩი. რაც შეეხება ზესევიჩს, ბევრ კარგ გუნდში აქვს ნათამაშები და ძალიან გამოცდილი მოთამაშეა. მწვრთნელივით გვაძლევს რჩევა-დარიგებებს და მაქსიმალურად გვიზიარებს თავის გამოცდილებას.

***– „დინამოში“ როგორ ატმოსფეროა?***

**დუდა სანაძე:** სუპერლიგა ძალიან შინაურული ჩემპიონატია. თითქმის ყველასთან მაქვს ნათამაშები და ამიტომ ჩემთვის ეს გუნდი უცხო არ ყოფილა.

**მილან ოულიჩი:** გუნდში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. პირველივე დღიდან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ჩემს თანაგუნდელებთან და მწვრთნელებთან. ჩემთვის ყოველი ვარჯიში დროის სასიამოვნოდ გატარებაა.

***– დუდა, რას იტყვით საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შანსებზე, რომელსაც მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში უწევს თამაში (ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ლატვია, თურქეთი და ესპანეთი არიან)?***

– უძლიერესი ჯგუფი შეგვხდა. ესპანეთი, რომელიც შარშანაც ფინალში იყო, თურქეთი, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა სიძლიერით და, რაღა თქმა უნდა, რეალურად ჩვენი მიზანი იქნება ის, რომ ჯგუფში არ ჩავრჩეთ და ის დიდი შრომა, რომელიც შარშან ,,ა“ დივიზიონში ალსაზევებლად გავხდეთ, წყალში არ ჩაგვეყაროს.

***– რა არის თქვენი მიზანი უახლოეს მომავალში და რა გეგმები გაქვთ?***

– ვთვლი, რომ პირველ რიგში ყველას მიზანი ეროვნულ ნაკრებში თამაში უნდა იყოს. ჩემი მიზანიც სწორედ ესაა, ხოლო შემდეგ – კლუბი. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, წლევანდელ სეზონს ,,დინამოში“ ჩავამთავრებ. მოწვევა მაქვს ამერიკის სერიოზული უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე ევროპიდან, თუმცა, აქცენტს აშშ-ზე უფრო ვაკეთებ.

***– რატომ აშშ-ზე და არა ევროპაზე?***

– ამერიკაში უფრო მეტ პერსპექტივას ვხედავ და ამიტომაც მსურს იქ თამაში. იქაური ლიგები საკმაოდ მაღალი დონისაა და ნბა-ს დრაფტზე დაყენების უფრო მეტი შანსიც გაქვს. სტუდენტური ლიგა სერიოზული ჩემპიონატია, სადაც თამაშის მეტი დრო გაქვს და სკამზე ჯდომა არ გიწევს.

***– თქვენი საკალათბურთო ოცნება.***

**დუდა სანაძე:** ნბა-ში თამაში, ალბათ, ყველა კალათბურთელის სურვილია, თუმცა, რეალურად საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ვოცნებობ.

**მილან ოულიჩი:** ახლა მხოლოდ საქართველოში თამაშზე, ჩემს კლუბზე, „დინამოზე“ ვფიქრობ და ყველა ჩემი გეგმა და მიზანი სწორედ ამისკენაა მიმართული. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, თუმც,ა ჩემი ოცნების გუნდი „პარტიზანია“, რომელსაც ყოველთვის ვგულშემატკივრობ.

***– საყვარელი საკალათბურთო კლუბი და მოთამაშე.***

**დუდა სანაძე:** რაც კალათბურთის თამაში დავიწყე, მას შემდეგ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა“ და კობი ბრაინტის ფანი ვარ.

***– ერთ-ერთმა პოპულარულმა ვებგვერდმა მომავალ პერსპექტიულ კალათბურთელებში გამოგარჩიათ და ინტერვიუც ჩამოგართვათ.***

– ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის ამის შესახებ, უბრალოდ, არ ვიცოდი, როდის დამიკავშირდებოდნენ. საკმაოდ პოპულარული ვებგვერდია, რომელსაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს და ყველა კალათბურთელმა იცის მის შესახებ. ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რომ ამ ვებ-გვერდმა პერსპექტიულ მოთამაშედ და კალათბურთის მომავალ იმედად დამასახელა.

***– როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ძლიერი და სუსტი მხარე კალათბურთში, რა გაქვთ დასახვეწი და გამოსასწორებელი?***

– დასახვეწი აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვარ. ვთვლი, რომ ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული კალათბურთელი. მჭირდება კიდევ უფრო მეტი ვარჯიში. ყველაფერი წინ მაქვს. სუსტ მხარეს რაც შეეხება, ვიტყოდი, რომ ფიზიკურად კიდევ უფრო უნდა გავძლიერდე.

***– მამათქვენი, გია სანაძე, წარსულში ცნობილი კალათბურთელი და ამჟამინდელი კომისარია. რა რჩევებს გაძლევთ ხოლმე?***

– მამა უამრავ რჩევას მაძლევს, მაგრამ, თუ როგორ ვასრულებ, უკვე ჩემზეა დამოკიდებული. დიდი ყურადღება აქვს ჩემს სროლაზე გადატანილი და ძირითადად რჩევათა უმრავლესობა სროლასა და შეტევას ეხება.

***– რას საქმიანობთ კალათბურთის გარდა?***

– ამერიკის კოლეჯისთვის სექტემბერში რამდენიმე ტესტი ჩავაბარე. მაქვს მოწვევები, საიდანაც საუკეთესოს შევარჩევ.

***– გარდა კალათბურთისა, რა არის თქვენი ინტერესის სფერო?***

– კალათბურთი ჩემი ყველაზე დიდი ინტერესია. სახლში როცა ვარ, კალათბურთს ვუყურებ, თავისუფალ დროს ისევ კალათბურთს ვთამაშობ. ამ ეტაპზე ჩემი ჰობი თუ ინტერესის სფერო მხოლოდ სპორტის ამ სახეობას უკავშირდება. ძალიან იშვიათად ვუყურებ ფეხბურთს, იმ შემთხვევაში, როცა რეალი-ბარსელონაა და სადაც „რეალს“ ვგულშემატკივრობ.

***– რჩეული თუ გყავთ ან დაოჯახებას ხომ არ გეგმავთ?***

– კი, მყავს, თუმცა, ჯერ მხოლოდ კარიერაზე ვფიქრობ. ამ ეტაპზე ჩემთვის ოჯახი ძალიან ნაადრევია.

***– გურმანი თუ ხართ და რომელ კერძს გამოარჩევდით?***

– ქართული სამზარეულო მიყვარს. მის გარდა ვერაფერს მივირთმევ. განსაკუთრებით გამოვარჩევდი მწვადს.

***– მილან, თბილისი მოგწონთ? რას იტყვით ჩვენს დედაქალაქზე?***

**მილან ოულიჩი:** ძალიან მომეწონა. ის ჩემს საყვარელ ქალაქს, სარაევოს ჰგავს. აქ ბევრი მეგობარი გავიჩინე და თავისუფალ დროსაც სასიამოვნოდ ვატარებთ. საღამოს რესტორანშიც გავდივართ ხოლმე და სასიამოვნოდ ვერთობით.

***– ჩვენი სამზარეულო თუ დააგემოვნეთ, რომელს გამოყოფდით?***

– ყველაფერი დავაგემოვნე და აღფრთოვანებული დავრჩი. ყველაზე მეტად ხაჭაპური მომეწონა.

***– საქართველოში რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას, რა პერიოდს მოიცავს თქვენი კონტრაქტი?***

– კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს, თუმცა, მერე რა იქნება, ვერ გეტყვით. ძალიან მომეწონა აქაურობა და, იმედი მაქვს, შემდეგ სეზონზეც დავრჩები.

# საბერძნეთი დეფოლტს გადაურჩა

13-საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას საბერძნეთის ეკონომიკისთვის დახმარების მეორე პაკეტის გამოყოფის შესახებ.

საბერძნეთი ამ შეთანხმების შედეგად 130 მილიარდ ევროს მიიღებს, რათა 20 მარტს თავიდან აიცილოს გაბანკროტება. სწორედ ამ დღეს უწევს ქვეყანას სახელმწიფო ობლიგაციების გასტუმრება.

დახმარების სანაცვლოდ საბერძნეთი ვალდებულებას იღებს, 2020 წლისთვის ქვეყნის სახელმწიფო ვალი მშპ-ის 120%-მდე შეამციროს.

ხუთწლიანი რეცესიის შედეგად ქვეყნის სახელმწიფო ვალი მშპ-ს 160%-ს აღწევს.

საბერძნეთის საკითხზე დახმარების მიღწევის შედეგად სავალუტო ბირჟებზე ევროს ზრდა ფიქსირდება, – ინფორმაციას „ჯი-ეიჩ-ენი" ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის პარლამენტმა ამ დღეებში დაამტკიცა მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარების ის ღონისძიებები, რომლებსაც „სამეული" – ევროკავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და ევროპის ცენტრალური ბანკი – მორიგი ტრანშის გაცემის წინაპირობად მიიჩნევდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, საბერძნეთმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს 15 ათასი სამუშაო ადგილის, 2012 წლის ხელფასებისა და პენსიების, საერთო ჯამში, 4.4 მილიარდი დოლარის სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა-შემცირება.

თავის გამოსვლაში პრემიერ-მინისტრმა ლუკას პაპადემოსმა ისაუბრა „ქაოსის" დაწყებაზე იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას არ გაატარებს. მან ასევე დაგმო მომიტინგეების გამოსვლები და დაუშვებლად მიიჩნია საზოგადოების ვანდალური ქმედებები „დემოკრატიულ ქვეყანაში".



საბერძნეთმა ახალი ტრანში 20 მარტამდე უნდა მიიღოს, რათა დაფაროს სახელმწიფო ვალი 14.5 მილიარდი ევროს მოცულობით.

ამის გამო საბერძნეთმა საბოლოო შეთანხმებას ევროკავშირთან, ევროპის ცენტრალურ ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკვე მიაღწია და ყველა ფორმალური საკითხი 20 მარტამდე უნდა მოაგვაროს.

იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები მხარეებს შორის მარცხით დასრულდებოდა, მაშინ ქვეყანა ვერ შეძლებდა სახელმწიფო ობლიგაციის „დაჭერას" და საბერძნეთი დეფოლტს გამოაცხადებდა.

ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრ ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, შეთანხმება შესაძლებელს გახდის, მნიშვნელოვნად შემცირდეს საბერძნეთის ვალი და უზრუნველყოფს ამ ქვეყნის მომავალს ევროზონის შემადგენლობაში.

საბერძნეთის რესპუბლიკა (გამოითქმის, როგორც ელინური რესპუბლიკა, რომელიც მისი ოფიციალური სახელიც არის) – სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

საბერძნეთს სახმელეთო საზღვარი ჩრდილოეთით აქვს ალბანეთთან, მაკედონიის რესპუბლიკასთან და ბულგარეთთან, ხოლო სამხრეთით – თურქეთთან.

საბერძნეთს აღმოსავლეთიდან აკრავს ეგეოსის ზღვა, იონიის ზღვა დასავლეთიდან, ხოლო სამხრეთიდან – ხმელთაშუა ზღვა. საბერძნეთის სანაპირო ზოლი 13,676 კილომეტრით მსოფლიოში მეოცეა, რომელიც ქმნის კუნძულების დიდი რაოდენობას (დაახლოებით 1400, საიდანაც 227 დასახლებულია).

მათ შორისაა: კრეტა, დოდეკანესი, იონიის კუნძულები, კიკლადი. საბერძნეთის ოთხმოცი პროცენტი შედგება მთოვანი რელიეფისგან და მისი უმაღლესი მთა, ოლიმპო, 2,917 მეტრს აღწევს. 1829 წელს საბერძნეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიისაგან, მაგრამ ამას მოჰყვა მთელი ეპოქა პოლიტიკური გადატრიალებებისა და სამხედრო დიქტატურისა. თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა 1975 წელს ჩამოყალიბდა. 1981 წელს იგი ევროპის კავშირის წევრი გახდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ეროვნულ არქივში დაცული კინომუსიკა ციფრულ მატარებელზეა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება ინტერნეტის საშუალებით გაეცნოს ეროვნული არქივის ფონოჩანაწერების კატალოგს.

თეა ქიმერიძის ცნობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მომსახურება კიდევ უფრო გაამარტივა. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური მემორანდუმი უკვე გაფორმდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, ნოტარიუსთა პალატასა და ეროვნულ არქივს შორის დღეს რუსთავის იუსტიციის სახლში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც მოქალაქეები იუსტიციის სახლებში ამ უწყებების მომსახურებას გამარტივებული ფორმით მიიღებენ.

– შესაბამისი ტრენინგის გავლის შედეგად, იუსტიციის სახლების ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, მოქალაქეს ზემოაღნიშნული ყველა უწყების მომსახურება გაუწიოს. მაგალითად: მომხმარებელი ნოტარიუსთა პალატის სერვისს როგორც ნოტარიუსთა პალატის, ასევე საჯარო რეესტრის, სამოქალაქო რეესტრისა და ეროვნული არქივის თანამშრომლის დახმარებითაც მიიღებს, – განაცხადა იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს ბრენდია, სადაც მოქალაქე იუსტიციის სამინისტროში შემავალი სამსახურების – ნოტარიუსთა პალატის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ეროვნული არქივის, საკანონმდებლო მაცნეს სერვისებს ერთ სივრცეში იღებს.

– იუსტიციის სახლებში მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს ეროვნული არქივის სხვადასხვა მომსახურებით – სოციალურ-უფლებრივი ხასიათის, ქონებრივი უფლების დამადასტურებელი, სამუშაო სტაჟის ცნობების მიღება, პასუხი თემატურ შეკითხვებზე. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, დაჩქარებული წესით. იუსტიციის სახლებში მოქალაქე სარგებლობს ნოტარიუსთა პალატის არქივის სერვისითაც. ნოტარიუსთა პალატის არქივში უფლებამოსილებაშეწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები დოკუმენტები ინახება და მათი დამოწმებული ასლები გაიცემა. არქივის დოკუმენტაციის ელექტრონული ბაზა საშუალებას იძლევა, აღნიშნული სანოტარო აქტების დამოწმებული ასლები მოქალაქემ ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, ნოტარიუსთა პალატაში, იუსტიციის სახლებსა და სანოტარო ბიუროებში მიიღოს, – ამბობს თეა ქიმერიძე.

მისივე თქმით, იუსტიციის სახლებში ხორციელდება ყველა ის სერვისი, რასაც მოქალაქე საჯარო და სამოქალაქო რეესტრებში იღებს – ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაცია, დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების რეგისტრაცია, პასპორტის, აიდი ბარათის, რეგისტრაციის ადგილის მოწმობის, სულადობის შესახებ ცნობის გაცემა. მოქალაქე იუსტიციის სახლებში სარგებლობს აგრეთვე ყველა იმ ონლაინ სერვისით, რასაც მოქალაქეებს ზემოთ დასახელებული სამსახურები სთავაზობენ.

# ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობაში დაძაბულობა მატულობს

აზერბაიჯანში ირანის ტელეარხისა და საინფორმაციო სააგენტო „ფარსის" კორესპონდენტი ანარ ბაირამლი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი ნარკოტიკების შენახვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამოა დაკავებული.

აზერბაიჯანის პოლიციის ინფორმაციით, დაკავებისას ირანელ ჟურნალისტს 0,387 ჰეროინი უპოვეს.

ინფორმაციას „კავკაზსკი უზელი" ჟურნალისტის ძმაზე ელდარ ბაირამლიზე დაყრდნობით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ირანის ტელევიზიის ჟურნალისტთან ერთად მალევე დააკავეს ტელევიზიის მძღოლი რამილია დადაშევაც.

ჟურნალისტის ძმა აცხადებს, რომ თავიდან სამართალდამცველებმა ანარ ბაირამლის ბრალად დასდეს 0,0387 გრამი ჰეროინის შენახვა, შემდეგ კი ეს რიცხვი 10-ჯერ გაზარდეს და დაკავების ოქმში აღნიშნეს, რომ ანარ ბაირამლის 0,387 გრამი ჰეროინი უპოვეს.

ელდარ ბაირამლი დარწმუნებულია, რომ მის ძმას ნარკოტიკები ჩაუდეს. ის აღნიშნავს, რომ ანარს ნარკოტიკებთან არანაირი შეხება არ ჰქონია – „ის მორწმუნე ადამიანია, მისგან ნარკოტიკები შორსაა", – აცხადებს ელდარ ბაირამლი.

დაკავების ფაქტს ირანის საელჩოს პრესცენტრიც გამოეხმაურა. საელჩოში ჟურნალისტისა და ტელევიზიის მძღოლის დაკავების ფაქტს ორ ქვეყანას შორის არსებულ გართულებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს უკავშირებენ.

ირანის საელჩოს პრესცენტრის წარმომადგენლის აბას ისკენდერის თქმით, დაკავებული არიან პატიოსანი,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# დეშამი დელ პიეროს ეპატიჟება

ფრანგული „მარსელის" მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი იტალიური ფეხბურთისა და ტურინის „იუვენტუსის" ლეგენდას, ალესანდრო დელ პიეროს საკუთარ გუნდში ეპატიჟება. ეს გასაკვირიც არ არის – ისინი დიდი ხნის მანძილზე თანაგუნდელებიც იყვნენ და დელ პერო დეშამის შეგირდიც გახლდათ, როდესაც ფრანგი სპეციალისტი „იუვენტუსს" 2006-07 წლებში წვრთნიდა.

– ალესანდროს უდიდესი კარიერა ჰქონდა. ის დიდი ფეხბურთელი და ნამდვილი ჩემპიონია. ვამაყობ, რომ ოდესღაც მასთან ერთად მითამაშია. თუ იგი „მარსელში" წამოსვლას გადაწყვეტს, სიამოვნებით მივიღებთ. მის გვერდით თამაში ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის უდიდესი სიამოვნება და გამოცდილება იქნება, – განაცხადა დეშამმა.

შეგახსენებთ, რომ 37 წლის დელ პიეროს მსურველთა რიცხვში „მარსელის" გარდა პსჟ, „პარმა" და რამდენიმე ამერიკული გუნდიც არის.

**მ. ჟ.**

# ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ბეირუთში მიდის

*ეკა ირემაშვილი*

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 3-11 მარტს საგასტროლოდ მიემგზავრება ლიბანში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-19 საერთაშორისო ფესტივალში.

წლევანდელი ფესტივალის დევიზია „მუსიკა ლათინური ამერიკიდან". ფესტივალი, რომლის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო, 21 თებერვალს დაიწყო და 25 მარტამდე გასტანს.

– წლეულს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალის შემოქმედებითი სტუმრების დიდი ნაწილი სწორედ ლათინურ-ამერიკელი ხელოვანები არიან, რომლებიც აუდიტორიას, უწინარესად, თავიანთი ქვეყნების კომპოზიტორების შემოქმედებას გააცნობენ, თუმცა, ცხადია, არც ევროპული მუსიკაა ფესტივალის საკონცერტო პროგრამის მიღმა დარჩენილი, – განაცხადა ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა.

ალ ბუსტანის მე-19 ფესტივალი საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი სტუმრები იქნებიან ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები მთელი მსოფლიოდან.

– ალ ბუსტანის ფესტივალს ესტუმრებიან ბრაზილიელი პიანისტები კრისტინა ორტიზი, ხოსე ფეგალი, ლინდა ბუსტანი, ოქტავიო ბრუნეტი (არგენტინა), მორიციო ნედერი (მექსიკა), ხულიო ალექს მუნიოზი (ესპანეთი), ალექსანდრე გინდინი (რუსეთი), არგენტინელი მუსიკოსები – ფლეიტისტი ანა დე ლა ვეგა, მევიოლინე დიანა ლეგრანი, ვიოლონჩელისტი ლუის დევრი, ბრაზილიელი ვიოლონჩელისტი ანტონიო მენესესი, იტალიელი ბანდონეონისტი მარიო პიეტროდარკი, მომღერლები – ეგლისე გუტიერესი (სოპრანო, კუბა), ვირჯინია ტოლა (სოპრანო, არგენტინა), დარიოს შმუნკი (ტენორი, არგენტინა), მექსიკელი სოპრანოები ოლივია გორა და გვადალუპე ხიმენესი. ფესტივალის სტუმრები არიან დირიჟორები – ჯანლუკა მარჩიანო (იტალია), ლიგია ამადიო (ბრაზილია), ალონდრა დე ლა პარა (მექსიკა), სერჯიო ალესანდრო ბუსლიე (არგენტინა), ილიჩ რივასი (ვენესუელა), პან-ამერიკული სიმფონიური ორკესტრი, ლიბანის ფილარმონიული ორკესტრი, ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი, „ალტურას-ჯგუფი" პერუდან, არა მალიქიანისა და ფერნანდო ეგოზკვეს ჯაზკვინტეტი (ლიბანი, არგენტინა), ლათინურ-ამერიკული კვარტეტი არონ, სეულ, ალვარო ბიტრანებისა და ჰავიერ მონტიელის შემადგენლობით, ბრაზილიელი გიტარისტი ძმების ოდეირ და სერჯიო ასადების დუეტი, კუბელი ფლეიტისტისა და კომპოზიტორის ორლანდო ვალიე მარაკას ჯგუფი, სამი კოლექტივი – პაკო პენიას ცეკვის კომპანია, დელფოსის თანამედროვე ცეკვის ანსამბლი (მექსიკა) და არგენტინული ანსამბლი „ტანგო მეტროპოლისი" წარმოადგენენ ცეცხლოვან ლათინურ-ამერიკულ ცეკვებსაც, – აღნიშნავს ზურაბ ოიკაშვილი.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი პირველად შარშან წარდგა მრავალფეროვანი პროგრამით.

**ზურაბ ოიკაშვილი:**

– შარშანდელი წარმატების დასტურია ახლანდელი მიწვევა. ამჯერად, ორკესტრი ორ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. პირველ კონცერტზე 6 მარტს ორკესტრი პარტნიორობას გაუწევს ცნობილ მექსიკელ მომღერალს ოლივია გორას (სოპრანო). შესრულდება ფრაგმენტები ვერდის, პუჩინის, ჩილეას ოპერებიდან, ასევე აჟღერდება რუპერტო ჩაპის, მარია გრევერის, ხოსე სერანოს, ენრიკე გრანადოსის, კონსუელიტო ველასკესის, ალფონსო ესპერანცა ეტეოს ნაწარმოებები. ამ კონცერტს იდირიჟორებს თბილისის ოპერის თეატრისა და ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი ჯანლუკა მარჩიანო.

– როგორია მეორე კონცერტის პროგრამა?

– განსხვავებულ პროგრამას დაუკრავს ორკესტრი 10 მარტს. ამ დღეს შესრულდება მორის რაველის „ბოლერო", იოზეფ ჰაიდნის კონცერტი ვიოლონჩელისა და ორკესტრისთვის და თანამედროვე არგენტინელი კომპოზიტორის ლუის ბაკალოვის სამმაგი კონცერტი ბანდონეონის, სოპრანოს, ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის. სოლისტების ამპლუაში იქნებიან თვით კომპოზიტორი ლუის ბაკალოვი (ფორტეპიანო), ოლივია გორა (სოპრანო, მექსიკა), მარიო პიეტროდარკი (ბანდონეონი, იტალია), ჰაიდნის სავიოლონჩელო კონცერტს კი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრთან ერთად დაუკრავს ბრაზილიელი ანტონიო მენეზესი. კონცერტს კი მექსიკელი დირიჟორი ალონდრა დე ლა პარა წარუძღვება.



## h3χცeχ3cb ,

**შვეულად**: 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 3. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 4. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 7. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 9. საგვარეულო ნუსხა; 10. უბანი ქუთაისში 13. ზნეობა ანუ ...; 14. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 15. ფრანგი მწერალი, ნობელი პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად**: 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. შვიდდღიური; 13. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 16. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 17. განდიდების მანია; 18. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 19. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯ3ცჰიბ უფ3χმeც.ყც,ებ h3χცeχ3cც,bც გფცეſც,b5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პეპსი; 2. ინდიგო; 4. ტოსტერი; 5. რიბერი; 6. სელადონი; 7. მიუზიკლი; 10. ოზონი; 12. ვისკოზა; 13. მენზულა; 16. ჰიმენე; 17. მანდილი; 18. კასიკი; 19. ბაწარა; 21. კურსი.

**თარაზულად:** 3. ბენეტონი; 8. მელასა; 9. სეიდებადი; 11. კრუიზი; 12. ვეზირი; 14. ნისანი; 15. სტენდალი; 20. ზეკარი; 22. სუმატრა; 23. მასა; 24. ტრაპეცია; 25. ჯაკო; 26. შულერი; 27. მარსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უშტი; 2. სქემა; 3. იმაგო; 4. ლხინი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 7. „ფიორენტინა"; 9. ფიზიონომია; 10. ნატახტარი; 12. ქაშაგი; 14. ფიზიკა; 15. ბროლა.

**თარაზულად:** 1. უსუსური; 4. ლოგოპედი; 8. ტორფი; 11. ლაქშმი; 12. ტონგა; 13. ქორქია; 16. სტრიტი; 17. ჰემოგლობინი; 18. სალხინო; 19. ჩალხია.

# სირიაში ძალადობა გრძელდება



სირიის სამთავრობო ძალებმა დამასკოში მშვიდობიან მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნეს.

სროლების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა.

სამთავრობო ძალებმა ცეცხლი მაშინ გახსნეს, როცა ქალაქში რამდენიმე დღის წინ დაღუპულთა დაკრძალვის ცერემონია მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, ბაშარ ასადის ძალებმა სირიის რამდენიმე ქალაქზე სარაკეტო იერიში მიიტანეს.ნამ ფონზე ირანის სამხედრო გემები ხმელთაშუა ზღვაში შევიდნენ და სირიისკენ მიემართებიან.

ამის შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანიამ „ევრონიუსმა" გაავრცელა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ირანი ამ ნაბიჯით საკუთარი ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

შეგახსენებთ, რომ თეირანმა და ოფიციალურმა დამასკომ გასულ წელს სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

სამხედრო გემები სირიაში გასულ წელსაც შევიდნენ, მაგრამ მაშინ ამ ვოიაჟს სახელმწიფოების ლიდერებმა მეგობრული უწოდეს.

ამასობაში სირიის პრეზიდენტ ბაშარ-ალ-ასადს დაძაბულობის განსამუხტად სათანადო ზომები ჯერ კიდევ არ მიუღია.

პროფესორი ჯერალდ პოსტი აღნიშნულის გამო შეშფოთებულია. იგი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში პოლიტიკური ფსიქოლოგიის პროგრამების დირექტორია, რომელიც, ამერიკის პრეზიდენტებით დაწყებული, მსოფლიო ლიდერების ფსიქოლოგიის ანალიზს აკეთებს:

– ბაშარ ალ ასადი საშიშროებას წარმოადგენს. ამ ყველაფერს კარგი დასასრული არ ექნება; ძალადობა კვლავ გაგრძელდება, – ამბობს პროფესორი პოსტი.

ბაშარ ალ ასადის პოლიტიკა სათავეს მამამისის მმართველობიდან იღებს. ჰაფეზი სირიას სამი ათეული წლის განმავლობაში „რკინის მუშტით" მართავდა. ასადების ოჯახი შიიტი მუსლიმების ალავიტურ სექტას განეკუთვნებიან.

ვაშინგტონში არსებული სირიის პოლიტიკური და სტრატეგიული სწავლების ცენტრის დირექტორ რადვან ზიადეჰის განცხადებით, არსებული რეჟიმის უმთავრესი დანიშნულება ალავიტური სექტის მიერ ქვეყნის მართვაზე კონტროლის შენარჩუნებაა:

– ახლანდელი მმართველობა ქვეყნის უსაფრთხოების ორგანოზეა დამოკიდებული, რომელსაც ალავიტები აკონტროლებენ. თავად ბაშარ ალ ასადი მამამისისათვის საკუთარი პოლიტიკის სასურველ გამგრძელებლად არ მოიაზრებოდა. ოფტომოლოგი, რომელმაც განათლება ლონდონში მიიღო, მორცხვ ადამიანად მიაჩნდათ. ასადის მამისათვის ღირსეული მემკვიდრე მისი უფროს ვაჟი ბასილი იყო, რომელიც ავტოაკატასტროფაში დაიღუპა. ძმის გარდაცვალების შემდეგ ბაშარი დამასკოში დაბრუნდა, სადაც ქვეყნის მმართველობის გადასაბარებლად შესაბამის განათლებას იღებდა.

1982 წელს ჰაფეზ ალ ასადმა აჯანყებულებს ქალაქ ჰამასში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ოფიციალური მონაცემებით, მაშინ დაახლოებით 10,000-დან 25,000-მდე ადამიანი დაიღუპა. პროფესორ ჯერალდ პოსტის თქმით, ყოველივე ამან ბაშარზე გარკვეული გავლენა მოახდინა.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ბაშარ-ალ-ასადს აღნიშნული კრიზისის მართვა არ ძალუძს, რადგან მამამისის დროინდელ მრჩეველებს კომპრომისზე წასვლა არ უყვართ:

– სწორედ ამიტომ, როცა დაძაბულობა იზრდება, ბაშარ-ალ-ასადს გადამწყვეტი ზომების მიღება არ შეუძლია. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თუ შემხვედრ პოზიციაზე წავა, მაშინ მათ რეჟიმს განადგურება უწერია, – განმარტავს რადვან ზიადეჰი.

ამ ყველაფერის გამო კი სირიის მოსახლეობა ქვეყნის მმართველობისაგან გაზრდილი ძალადობის მსხვერპლად დღემდე რჩება.

# მექსიკის ციხეში მორიგი შეტაკებისას 40 ადამიანი დაიღუპა

მექსიკის ციხეში მასშტაბურ დაპირისპირებას 40 ადამიანი ემსხვერპლა.

ქალაქ მონტერეიში განთავსებულ საპატიმროში ბუნტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მცველებმა ციხის ორი კორპუსის დამაკავშირებელი კარი გახსნეს. გავრცელებული ინფორმაციით, მცველები მოსყიდულები იყვნენ.

მომხდარის შედეგად პატიმრებს შორის დაპირისპირება დაიწყო. პატიმრებმა საწოლებს ცეცხლი წაუკიდეს, რამდენიმე ზედამხედველი კი ტყვედ აიყვანეს. მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო.

სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ბუნტი კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მექსიკის ქალაქ ალტამირის ციხეში პატიმრებს შორის ჩხუბს მსხვერპლი მოჰყვა. „ასოშიეტიდ პრესის" ცნობით, მასობრივი ჩხუბისას დაიღუპა 31 და დაიჭრა 13 პატიმარი.

ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც პატიმრები თვითნაკეთი დანებითა და ქვებით შეიარაღებულები ციხის იმ ნაწილში შევიდნენ, სადაც მათ ყოფნა ეკრძალებოდათ და იქ მყოფ პატიმრებს თავს დაესხნენ. ციხეში წესრიგის დამყარება მხოლოდ ჯარისკაცებისა და საზღვაო ძალების დახმარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მანამდე კი, ქალაქ აკაპულკოს ციხეში მოულოდნელმა რეიდმა მრავლისმნახველი ინსპექტორებიც კი გააოცა – 12 მეძავი, 2 ტომარა მარიხუანა, ასამდე პლაზმური ტელევიზორი, ამდენივე მებრძოლი მამალი და 2 ფარშევანგი სამართალდამცავებმა ერთ სასჯელაღსულებით დაწესებულებაში აღმოაჩინეს. ციხის ტერიტორიაზე ინსპექტორები 6 ქალ მსჯავრდებულსაც შეხვდნენ, რომლებიც მამაკაცებისთვის განკუთვნილ ფლიგელში ცხოვრობდნენ.

ეს სკანდალური ფაქტები მას შემდეგ გამოვლინდა, რაც აკაპულკოს ციხიდან გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში 100-მდე მსჯავრდებულის გადაყვანა გახდა საჭირო.

ხოლო გასულ ზაფხულში ქალაქ ნუევოლადროს ციხიდან, 59 მსჯავრდებულთან ერთად 5 მცველიც გაიქცა. უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გაქცევის დროს ციხის თანამშრომლებმა 3 პატიმარი მოკლეს. გაქცეულ პატიმართა შორის 35 მსჯავრდებული სასჯელს ნარკოტიკების გასაღებასა და შეიარაღებული ბანდფორმირების წევრობისთვის იხდიდა. აღნიშნული ციხე აშშ-ის საზღვართან მდებარეობს. ნუევო-ლადროს ციხეში სასჯელს სულ 1200 პატიმარი იხდის. 2010 წელს იმავე ციხიდან 159-მა პატიმარმა მოახერხა გაქცევა. მექსიკის ციხეები მთელს მსოფლიოში ცნობილია კორუფციითა და უწესრიგობით. ქვეყანამ 1821 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა ესპანეთისაგან. 1824 წლიდან რესპუბლიკაა.

1845-1848 წლებში აშშ-სთან ომის შედეგად დაკარგა ტეხასი და სხვა ტერიტორიები. მე-2 მსოფლიო ომში ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეს იყო.

1992 წელს აშშ-სა და კანადასთან მოაწერა ხელი შეთანხმებას ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

# ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობაში დაძაბულობა მატულობს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მოწესრიგებული და პროფესიონალი ადამიანები.

თავად ირანულ ტელევიზიაში კი აცხადებენ, რომ ბაირამლი ადრეც იყო დაკავებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ მაშინ სამართალდამცველებმა ის მალევე გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 1 კვირის წინ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში აზერბაიჯანის ელჩი დაიბარეს და ოფიციალური ბაქო ისრაელის სპეცსამსახურების ანტიირანული საქმიანობის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს.

აღნიშნული ფაქტის გამო ირანი აზერბაიჯანს ურთიერთობის გაფუჭებით დაემუქრა. კერძოდ, ირანის ხელისუფლებამ აზერბაიჯანი ირანის ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე მეცნიერის მუსტაფა ახმადი როშანის მკვლელობის თანამონაწილეობაში დაადანაშაულა.

ამის შესახებ „როიტერი" ირანულ სააგენტო „ფარსზე" დაყრდნობით იუწყება.

როგორც სააგენტო აღ-



ნიშნავს, 11 თებერვალს ირანში აზერბაიჯანის ელჩი ქვეყნის შსს-ში დაიბარეს და გამოუცხადეს ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ ბაქო ისრაელის დაზვერვასთან თანამშრომლობდა და ირანში საკუთარი აგენტურული ქსელის შექმნაში ეხმარებოდა.

როშანის მკვლელობაზე სრული პასუხისმგებლობა ოფიციალურმა თეირანმა სწორედ ისრაელის სპეცსამსახურებს დააკისრა. მუსტაფა როშანი თეირანში 2012 წლის 11 იანვარს ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა. ირანმა აზერბაიჯანს ისიც შეახსენა, რომ 2010 წელს ტერაქტების შედეგად ირანში დაღუპული მეცნიერები ბირთვული ენერგიის დარგში, პროფესორი მასუდ ალი მოჰამადი და პროფესორი მაჯიდ შახრიანი, ისრაელის საგარეო დაზვერვის „მოსადის" აგენტებმა დახოცეს, რომლებიც აზერბაიჯანის გავლით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ირანის ამ ბრალდებას აზერბაიჯანის მხარემ აბსურდული უწოდა და, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ქვეყნის უშიშროების უწყების მიერ დაპატიმრებული აზერბაიჯანის მოქალაქეები რასიმ ალიევი და ალი ჰუსეინოვი ირანის სპეცსამსახურების დავალებით აზერბაიჯანში ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს ამზადებდნენ.

არშემდგარი ტერორისტული აქტის მესამე მთავარი მონაწილე დღემდე თავს ირანის ქალაქ არდებილს აფარებს. აღნიშნული ბრალდებების ერთმანეთის მიმართ წაყენება აზერბაიჯანსა და ირანს შორის დაძაბულობაზე მიუთითებს.

# დომენიკ სტროს კანი ისევ დააკავეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ყოფილმა ჩინოვნიკმა თავის მეუღლესთან ერთად ხუთი ფრანგული გაზეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ამასთან, როგორც საერთაშორისო მედია იუწყება, ფინანსისტისა და პოლიტიკოსის წინააღმდეგ სარჩელი ასევე ბელგიური საესკორტო მომსახურების თანამშრომელმა, ვინმე ან-მარიმ შეიტანა.

ირკვევა, რომ მან სასამართლოს გასული წლის დეკემბერში მიმართა. ბელგიელი ქალბატონის მტკიცებით, სტროს კანმა მასთან სასიყვარულო კავშირი ვაშინგტონის ერთ-ერთ სასტუმროში დაამყარა.

ზოგიერთ მონაცემს ფრანგული გაზეთი „ლე პოინტი" აქვეყნებს. გამოცემის ინფორმაციით, ინციდენტი 2010 წლის დასაწყისში სასტუმრო „კარლტონში" მოხდა. ან-მარი პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებს, რომ მას გადაუხადეს, რათა სტროს კანთან მისულიყო, მაგრამ მასთან სექსი არ უნდა ჰქონოდა. ესკორტის მომსახურება ამას არ გულისხმობს.

– ადრე ურთიერთობა ყოველთვის ჯენტლმენებთან მქონდა, ამიტომ საფრთხეზე არც მიფიქრია, – ყვება სტროს კანის სავარაუდო მსხვერპლი.

ქალბატონის მონაყოლის მიხედვით, გაუპატიურების დროს ნომერში ესკორტის სხვა გოგონა, ვინმე ორელიც იმყოფებოდა და სწორედ ის ცდილობდა მოძალადის შეჩერებას და იმაში დარწმუნებას, რომ მისი თანამშრომელი პროსტიტუციას არ ეწევა.

ფრანგული გაზეთი წერს, რომ სტროს კანი უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში რეგულარულად სარგებლობდა საესკორტო ფირმების მომსახურებით და ყოველთვის უხვად უხდიდა გოგონებს.

როგორც ცნობილია, დომენიკ სტროს კანი გასულ წელს უკვე გაეხვია სექსუალურ სკანდალებში. ის ნიუ იორკში ძალადობრივი ხასიათის სექსუალური ქმედებების გამო დააპატიმრეს, რომელიც მან სასტუმროს შავკანიანი მოსამსახურის მიმართ განახორციელა.

სავალუტო ფონდის ყოფილი შეფი ჯერ გირაოთი გაათავისუფლეს, ხოლო შემდეგ ყველა ბრალდება მოუხსნეს.

მოგვიანებით იმავე ხასიათის სარჩელით სასამართლოს ჟურნალისტმა და მწერალმა ტრისტან ბანონმაც მიმართა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ 2002 წელს, ინტერვიუს ჩაწერის დროს, სტროს კანი მის გაუპატიურებას შეეცადა.

თავად ფინანსისტი ყველა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს, თუმცა, მას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის პოსტიდან გადადგომა მაინც მოუხდა.

ამ სკანდალმა პოლიტიკოსს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა წაართვა. სკანდალამდე მას საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტ სარკოზის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ.

ამ ფონზე ცნობილი ფრანგი მსახიობი, ჟერარ დეპარდიე, ახალ ფილმში დომენიკ სტროს კანს განასახიერებს. ფილმი სექს-სკანდალს შეეხება, რომელმაც მაღალჩინოსანს თანამდებობის დატოვება აიძულა.

ამის შესახებ ფრანგულ გამოცემა „ლე მონდს" ამერიკელმა რეჟისორმა აბელ ფერერამ განუცხადა. მისი თქმით, სტროს კანის მეუღლეს, ანა სინკლერს, მსახიობი იზაბელ აჯანი განასახიერებს.

როგორც რეჟისორი აღნიშნავს, გადაღებები ნიუ იორკში, ვაშინგტონსა და პარიზში გაიმართება. „ეს ფილმი ხელისუფლების მსხვერპლთა შესახებ არის", – ამბობს ფერერა.

ფილმზე მუშაობის შესახებ ხმები უკვე დიდი ხანია ვრცელდება, თუმცა, ახლა თავად რეჟისორმა დაადასტურა, რომ გადაღებებს ივნისში დაიწყებს, მიუხედავად იმისა, რომ მის საპროდიუსერო კომპანიას პროექტის წარმატებაში ეჭვი ეპარება.

ფერერას თქმით, 63 წლის დეპარდიე საფრანგეთის ქალაქ დოვილში კინოფესტივალზე გაიცნო და მიხვდა, რომ ამ მსახიობს ყველა ის თვისება აქვს, რომელზეც ნებისმიერი რეჟისორი იოცნებებდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ვახტანგ და გიორგი ყოლბაიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბადრი ჯაბუა**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 23 თებერვალს, ზუგდიდის რ-ნი სოფ. ინგირი.

გამოსვენება: 17 საათზე, გურამიშვილის 19.

მეუღლე ნუგზარ კვარაცხელია, შვილები მარიამ, თამარ და მაია კვარაცხელიები, დედა ლუარა მიმინოშვილი, დები მარინა და ნანა ძანძავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანანა შოთას ასული ძანძავა**

პანაშვიდი: 24, 25 თებერვალს. თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორპ. X, ბინა 9.

გამოსვენება: 26 თებერვალს, 14 საათზე.

ვარკეთილი III-ის მეორე მიკრორაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, ილია მართლის სახელობის ეკლესიიდან.

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჰბზქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფჰლტ8

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 22 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **02.00** მხ. ფილმი **"ტომი ბიჭი"** (**12**) (კ. ფარელი) **03.45** მხ. ფილმი **"მანჯურიელი კანდიდატი"** (**12**) (დ. ვაშინგტონი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"მეფე სოლომონის საბადოები"** **21.30** ევროკავშირი და საქართველო **01.00** მხ. ფილმი **"როზანას საფლავი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ეთამაშე ვარსკვლავს **16.30** სიცილის ზონა **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.40** შუა დღე **03.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** იუმორინა **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ. ფ. **"კომანდო"** (**15**) **02.05** მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) **03.50** მხ. ფილმი **"ქვეს მთლელი"** (**12**) (ჩ. ნორისი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **11.00** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი – პოლ მორია **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** დიდი მარხვა **16.30** კვირიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** მრავალჟამიერი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"დანაშაული მოხდა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "კადრს მიღმა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **01.35** კონცერტი – ხ. კოკოჩაშვილი

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6678 |
| ევრო | 2,2122 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6518 |
| რუსული რუბლი | 0,0561 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0_4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

ფვბყღბც გჰჯუყჯჰბ @@ სც,ცჰღჯბცსღბც




## დომენიკ სტროს კანი ისევ დააკავეს



მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი დომენიკ სტროს კანი კვლავ პატიმრობაშია.

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ის ამჯერად სუტენიორობის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს.

სააგენტოს ცნობით, სტროს კანი მოწმის სტატუსით უნდა დაეკითხათ, თუმცა, ის პოლიციაში მისვლისთანავე დააპატიმრეს. მას ბრალად ედება პროსტიტუციულ საქმიანობაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა.

დომინიკ სტროს კანის დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან კავშირზე ფრანგული მედია 2011 წლის ნოემბერში წერდა. პუბლიკაციებში ნათქვამი იყო, რომ ქალაქ ლილიდან პარიზში გოგონები ორგიებში მონაწილეობისთვის ჩაჰყავდათ, რომელსაც სტროს კანიც სტუმრობდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრები საჯაროა

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი ქართველი მხატვრის რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრები „ტიფლის ბიზნეს თაუერის“ საგამოფენო ცენტრში გამოიფინა. „ტიფლის გალერეა“ სწორედ რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენით საზეიმოდ გაიხსნა. ექსპოზიციაზე 27 ნახატია წარმოდგენილი, მათ შორის რამდენიმე ბატიკასა და აბრეშუმზეა შესრულებული.**



რუსუდან ფეტვიაშვილმა ხატვა წლის და ათი თვის ასაკში დაიწყო. ექვსი წლის ასაკში მისი პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა. ქართველი მხატვარი შესულია XX საუკუნის 2.000 გამოჩენილ პიროვნებათა შორის. ეს წიგნი გამოიცა კემბრიჯის ბიოგრაფიულ ცენტრში. სენტ იორში საგანგებო პრესკონფერენცია მიეძღვნა რუსუდან ფეტვიაშვილის ფენომენალურ მხატვრობას.

მხატვარმა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი ნამუშევრები საქართველოს გარდა ხშირად იფინება გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, დიდი ბრიტანეთში, ავსტრიაში, რუსეთში, ესპანეთში, უნგრეთში.

რუსუდან ფეტვიაშვილმა სამი წლის განმავლობაში იმუშავა წმინდა ოთხთავის მინიატურებზე წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ბიბლიისთვის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. მისივე ილუსტრაციებით გაფორმდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართული ზღაპრები“.

რუსუდან ფეტვიაშვილის პერსონალური გამოფენა „ტიფლის გალერეაში“ მოიცავს მხატვრის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილ ნამუშევრებს. მათი უმეტესობა ბათუმის გალერეიდან ჩამოიტანეს.

— ამ გამოფენაზე ძირითადად არის აბრეშუმზე შესრულებული ნამუშევრები. გამოყენებული მაქვს ასევე აკვარელი, ტილო, ზეთი და ერთი ნამუშევარია ხეზე, რომელიც ჩემი ძმის დიმა ფეტვიაშვილისა და ჩემი ერთობლივი პროექტია. მიხარია, რომ თბილისში მაქვს პერსონალური გამოფენა, რადგან სულ მალე ჩემი ნამუშევრები პარიზში გამოიფინება, — განაცხადა გამოფენის გახსნაზე მხატვარმა რუსუდან ფეტვიაშვილმა.

ახალი გალერეა და რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრების გამოფენა თბილისის მერმა გიგი უგულავამ დაათვალიერა.

— ძალიან მიყვარს რუსუდან ფეტვიაშვილის შემოქმედება. როგორც სახვითი ხელოვნების მოყვარული, მისი დიდი გულშემატკივარი ვარ. მიხარია, რომ ახალ საგამოფენო სივრცეში მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს აქვთ საშუალება, მოვიდნენ და დაათვალიერონ როგორც ძველი, ასევე ახალი ნამუშევრები. ვიცი, რომ უახლოეს მომავალში რუსუდანს საზღვარგარეთთან დაკავშირებული გეგმები აქვს. ესეც ჩვენი ქვეყნის დიდი წარმატებაა, რადგან უცხოელ დამთვალიერებელსაც აქვს შანსი ეს უნიკალური ნამუშევრები ნახოს. რაც მეტი ადამიანი ნახავს რუსუდანის ნამუშევრებს, მით უკეთესია პირველ რიგში მათთვის, რადგან უდიდეს სიამოვნებას მიიღებენ, — აღნიშნა გიგი უგულავამ.

რუსუდან ფეტვიაშვილის მომდევნო პერსონალური გამოფენა პარიზშია დაგეგმილი. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მისი ძველი და ახალი ნამუშევრები.

— პარიზშიც მაქვს დაგეგმილი გამოფენა, სადაც ჩემს ახალ ნამუშევრებთან ერთად ძველ ნახატებსაც გამოვფენ. ნაწილი შვეიცარიაში მაქვს და ნაწილი საქართველოში, ეს ყველაფერი უნდა შევკრა და გამოვფინო პარიზში. გალერეაში საინტერესო და მნიშვნელოვან დამთვალიერებლებს ველოდები, — აღნიშნა მხატვარმა.

რუსუდან ფეტვიაშვილმა გალერეა ბათუმში 2011 წლის ზაფხულში გახსნა.

— რუსუდან ფეტვიაშვილის გალერეა მოდელია იმისა, რა უნდა იყოს ახალი საქართველოს და ახალი ბათუმის სახე, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში ფეტვიაშვილის გალერეისა და არტკაფეს გახსნაზე.

გამოფენების მოწყობის პარალელურად, რუსუდან ფეტვიაშვილმა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს ორი მონუმენტური ფერწერული ნამუშევარი გადასცა. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ განაცხადა, რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ეროვნული საგანძურის კოლექციაში.


# მალე

ეყბრფკეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-20 ტომი

## ჰეპდტკნბ

3!)) ობუყიბ4 იცღბც
ბვ ფღფვბფყსფ
,ბჯუჰფაბტ,ბ7 ჰჯვცჯსფნ
ღბღბ hღფჯბ ღფნჯღცც
ვცჯაჯბჯ გჯჯბნბhფიბ7
ვცნყბცჰც,ფცფ
ღფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ * კფჰბ





## ·ღცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=

fcnhjghjuyjpb @@ სც,ცჰღჯბცსღბც

### შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, გაერთეთ. **კურო** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. **მშვილდოსანი** — აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, თავს საუკეთესო კუთხით გამოავლენთ. **მერწყული** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი ხართ. **თევზები** — სანამ პასუხს გასცემთ, ჯერ კარგად დაფიქრდით.

უბცეჰღც,ს ,ცღყბცჰ ღქცს=

## hჰჯცღჯჰღბ ფ

**შვეულად**: 1. ჰოლანდიური ყველი; 2. დაქირავებული კავალერი; 4. ქართული რადიო; 5. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 6. აეროპორტი მადრიდში; 7. სპეციალური დანიშნულების სადესანტო ქვედანაყოფი ინგლისსა და აშშ-ში; 10. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 13. რძის პროდუქტი; 16. პატარა მოთხრობა; 17. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 19. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 21. სევანის ტბის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად**: 3. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებით შესრულებას; 8. ზღაპრული შინაარსის ლექსი; 9. ქართული ცირკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 11. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 12. თავაშვებული ლხინი, ქეიფი; 14. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 15. მკვლელობათა საქმის გამომძიებელი აშშ-ში; 20. ტბა გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე; 22. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 23. პურეული მცენარე; 24. „ილიადას“ პერსონაჟი, ტროას ომის გმირი; 25. უბანი თბილისში; 26. ქართული სამშენებლო კომპანია; 27. ღვინის სასმისი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა.*

